P.S.

თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

პრიორიტეტული სკვერები ხონში, ხეები მინი სტადიონზე და გარეგანათება

სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოების შესახებ ადგილობრივები ინფორმაციას არ ფლობენ

იხილეთ მე-5 გვერდზე

„სოფლის დახმარების პროგრამის“ არაეფექტური პროექტები

მოხრეშილი გზები და წყალში გადაყრილი მილიონები

იხილეთ მე-3 გვერდზე

№ 37 (687) 23 - 29 დეკემბერი, 2013 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

რა უნდა მერაბიშვილს და რა ელოდება უგულავას?

ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი, რომელიც ამჟამად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანია, მთავარი პროკურორის მხრიდან ზეწოლაზე საუბრობს და გამოძიების დაწყებას ითხოვს. თბილისის მერს გიგი უგულავას კი ბრალი უკვე წაუყენეს, თუმცა დაპატიმრებული არ არის. „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები თვლიან, რომ ხელისუფლებამ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ, ოპოზიციის პოლიტიკური განადგურება გადაწყვიტა.

პატიმრობაში მყოფი ვანო მერაბიშვილი მთავარ პროკურორს ოთარ ფარცხალაძეს მის წინააღმდეგ განხორციელებულ მუქარაში ადანაშაულებს. როგორც ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა და ექს-პრემიერმა სასამართლო დარბაზში განაცხადა, ის ციხიდან თვალახვეული გაიყვანეს და პირადად, მთავარ პროკურორს, ოთარ ფარცხალაძეს შეახვედრეს, რომელმაც მას ჟვანიას საქმეზე თანამშრომლობა და მიხეილ სააკაშვილის ანგარიშების დასახელება მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დაემუქრა, რომ მერაბიშვილს ციხეში ყოფნის პირობებს გაუუარესებდა.

„პარასკევს, გვიან ღამით, შაბათს დილას 2-ის ნახევარზე გამომიყვანეს ციხიდან, ჩამსვეს მანქანაში თავზე გადამახურეს ჩემივე მოსაცმელი და წამიყვანეს ჩემი ვარაუდით სასჯელაღსრულების დეპარტამენტში. იმ კაბინეტში დამხვდა ორი ადამიანი. პირადად, მთავარი პროკურორი ფარცხალაძე დამემუქრა, რომ თუ „ვითანამშრომლებდი“ ზურაბ ჟვანიას საქმეზე და ასევე მივაწვდიდი ინფორმაციას სააკაშვილის „ნაშოვნი ფულის“ ადგილსამყოფელზე, მაშინ მომცემდა შანსს ქვეყნიდან გასვლის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ციხეში გამიუარესდებოდა პირობები და ჩემს პოლიტიკურ თუ არაპოლიტიკურ მეგობრებსაც დაიჭერდნენ,“ — განაცხადა მერაბიშვილმა.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

მირონ ხერგიანი: „რუსეთს სურს, საზღვარი გადმოიტანოს სამხრეთით — სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში“

სვანეთის მოსახლეობა ხუდონჰესის აშენებას ვერ შეეგუება

ხუდონჰესის მშენებლობის წინააღმდეგ საქართველოში პერმანენტულად მიმდინარეობს აქციები. სვანების დიდმა ნაწილმა ხატზეც კი დაიფიცა, რომ ამ მშენებლობას არ დაუშვებენ. თუმცა ხელისუფლება ჯიუტად აცხადებს, რომ ხუდონი აუცილებლად აშენდება.
გასულ კვირაში კანცელარიის წინ ხუდონჰესის წინააღმდეგ კიდევ ერთი საპროტესტო აქცია გაიმართა. მასში მწვანეთა მოძრაობა, ენერგეტიკოსთა საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ისინი მოუწოდებენ ხელისუფლებას, რომ არ გადადგას მცდარი ნაბიჯი ხალხის წინააღმდეგ, უარი თქვან ხუდონჰესის აშენებაზე. „პოსტსკრიპტუმი“ მირონ ხერგინს ესაუბრა.

„მირონ ხერგიანი (საქართველოს ენერგეტიკოსთა საზოგადოების თავმჯდომარე):

— კვლავ აპროტესტებთ ხუდონჰესის აშენებას, თუმცა ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს, რომ მაინც ააშენოს. როგორ ფიქრობთ, რაიმე შეიცვლება?

— ენერგეტიკოსების, მწვანეთა და სხვა არასამთავრობოთა მოძრაობის წარმომადგენლების მონაწილეობით ვატარებთ საპროტესტო აქციას. ჩვენ მოვითხოვთ, შეიცვალოს პროექტი და კაშხლის ნაცვლად, აშენდეს მცირე და საშუალო ჰესები. ამ დროს მოსახლეობა აღარ დაექვემდებარება გადასახლებას. სხვა შემთხვევაში კი, წყლით დაიფარება კულტურული მემკვიდრეობა, ახლახანს აღმოჩენილი მეექვსე საუკუნის სარიტუალო უნიკალური კომპლექსი, რომლის გადარჩენაც აუცილებელია. რაც შეეხება ენერგეტიკის განვითარებას ენგურის ხეობაში, იმაზე მეტი ენერგეტიკული პოტენციალია, ვიდრე წარმოგვიდგენია. იქ შესაძლებელია მცირე და საშუალო ჰესების ამუშავება, ეს არათუ საზიანო იქნება მოსახლეობისათვის, არამედ სასარგებლოც. იმ შემთხვევაში, თუ ჰესი ჩვენი ხალხის საკუთრება იქნება (და არა უცხოელი ინვესტორი დაეპატრონება), ეს ჩვენს ქვეყანას არ წაადგება და არც იმ მოსახლეობას, რომელიც იქ ცხოვრობს..

— ენერგეტიკის მინისტრი აცხადებს, რომ ჰესი მაინც აშენდება.

— ეს მოსახლეობის გადაშენების ტოლფასი იქნება. საუკუნეების განმავლობაში რომაელები, თურქ-სელჩუკები, ჩრდილოელები და ვინ არ ცდილობდა ამ ხეობის მოსახლეობის გადასახლებას, მაგრამ ვერავინ ვერ შეძლო ეს.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

უჩა ნანუაშვილი ვანო მერაბიშვილის დაკითხვას მოითხოვს

იხილეთ მე-2 გვერდზე

სამი ყველაზე დიდი საფრთხე, რომელიც თვითმმართველობის სახელისუფლებო რეფორმას მოჰყვება

იხილეთ მე-6 გვერდზე

გაითვალისწინებს თუ არა ხელისუფლება შენიშვნებს, ჯერჯერობით, უცნობია

იხილეთ მე-6 გვერდზე

ერთი სკოლის ბევრი წარმატება

იხილეთ მე-7 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“;
ტელ.: 790 927 927.
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ თვითმმართველობის კანონპროექტს ნაჩქარევად შედგენილს უწოდებს

იხილეთ მე-3 გვერდზე

„კერძო საფინანსო ორგანიზაციების ქმედება კრიმინალია!“ — საპროტესტო აქცია ქუთაისში

იხილეთ მე-3 გვერდზე

PSnews.ge

ISSN 1987-7056

სკანვორდი — გვ. 7

ჰოროსკოპი — გვ. 7

უჩა ნანუაშვილი ვანო მერაბიშვილის დაკითხვას მოითხოვს

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი პატიმრობაში მყოფ ექსპრემიერ ვანო მერაბიშვილს შეხვდა. შეხვედრის შემდეგ ნანუაშვილმა განაცხადა, რომ ნებისმიერი მსგავსი განცხადება, როგორიც ვანო მერაბიშვილის განცხადება იყო, მოითხოვს გამოძიების დაწყების აუცილებლობას.

„იმ შემთხვევაში, თუ გამოძიება არ დაიწყება, შესაძლოა, უფრო მეტი კითხვითი ნიშნები გაჩნდეს საზოგადოებაში, თუ რატომ არ ხდება რეაგირება პატიმრის განცხადებაზე," — განაცხადა ნანუაშვილმა.

„ვანო მერაბიშვილი ჰყვება დეტალებს იმის შესახებ, თუ რა მოხდა ამ რამდენიმე დღის წინ, ის არის გაკვირვებული, იმის გამო, თუ რატომ არ დაიწყო გამოძიება მომხდარზე, გამოთქვამს მზადყოფნას, ითანამშრომლოს გამოძიებასთან და დეტალურად მიაწოდოს ინფორმაცია. საათნახევარი ვისაუბრე მერაბიშვილთან მომხდარის დეტალებზე," — განაცხადა სახალხო დამცველმა.

ვანო მერაბიშვილის ადვოკატები ასევე მოითხოვენ იმ ვიდეოფირების გადაცემას, რომელიც არსებობს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და დეპარტამენტში.

ადვოკატ გიორგი ჩივიაშვილის განცხადებით, მათ ვიდეოფირების გადმოცემაზე პასუხი არ მიუღიათ. მისი თქმით, უფრო მეტიც, მერაბიშვილის ღია განცხადება ზეწოლაზე, რომელიც აშკარად შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, პასუხგაუცემელია.

„როცა მოვითხოვთ გამოძიების დაწყებას მერაბიშვილის განცხადებაზე, პასუხად ვიღებთ იმას, რომ მომხდარ ფაქტზე გამოძიებას არ ჩაატარებენ. მათი პასუხი კიდევ ერთი დადასტურებაა იმის, თუ როგორ უდგება ვანო მერაბიშვილის სისხლის სამართლის საქმეებს პროკურატურა და თვით ხელისუფლება," — ამბობს ჩივიაშვილი.

ვანო მერაბიშვილის ადვოკატი **ოთარ კახიძე: „**ვანო მერაბიშვილის მიმართ განხორციელებული ქმედება შეიცავს არაადამიანური მოპყრობის ფაქტს, რაც არის ევროკონვენციის მესამე მუხლის დარღვევა, სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, მიიღოს ყველა ზომა, რათა დაადგინოს, მართლა ჰქონდა თუ არა ადგილი პატიმრისადმი მთავარი პროკურორის მხრიდან ამ ტიპის მუქარას.

ეთერ ბალაძე
psnews.ge

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

R — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

რა უნდა მერაბიშვილს და რა ელოდება უგულავას?

პირველი გვერდიდან

ოპოზიციური პარტიის ლიდერები მერაბიშვილზე ზეწოლის ფაქტის გამოძიებას ითხოვენ და აცხადებენ, რომ ხელისუფლებამ ექს-პრემიერის საკანთან დამონტაჟებული ვიდეოჩანაწერები უნდა გაასაჯაროოს. თუმცა, როგორც ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელი პირები განმარტავენ, ვიდეოჩანაწერების ამოღება და გამოქვეყნება სხვადასხვა საგამოძიებო პროცედურებთანაა დაკავშირებული და მისი მარტივად გავრცელება ვერ მოხდება. რაც შეეხება გამოძიების დაწყებას, როგორც სასჯელაღსრულების მინისტრმა სოზარ სუბარმა განაცხადა, ამ შემთხვევაში საზოგადოება სიმართლეს დაინახავს, თუმცა პროკურატურა გამოძიებას პოლიტიკური შემადგენელით ვერ დაიწყებს, მას ამისთვის სამართლებრივი საფუძველი სჭირდება.

„ისინი ვერ ჩაწერენ, რომ რადგან „ქართული ოცნება" და „ნაციონალური მოძრაობა" გამოძიებას ითხოვენ, მაშინ ეს უნდა დავიწყოთ. პროკურატურა თუ მონახავს სამართლებრივ საფუძველს, მაშინ დაიწყებს, თუ არადა ვერ დაიწყებს, ეს ცალსახაა. რაც შეეხება კადრების გასაჯაროებას, ამას თავისი წესები აქვს. ჩემ წინააღმდეგ იქნება საქმე აღსაძრავი, თუ მე კადრებს წესების დარღვევით გავასაჯაროებ. ასე რომ, ამ შემთხვევაში ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, გამოძიება რას გადაწყვეტს. როდესაც გამოძიება დაიწყება და თუ დაიწყება, მაშინ იქნება შესაძლებელი კადრების გასაჯაროება," — განაცხადა სუბარმა.

„რა ვქნათ, დავჯდეთ, ყავა დავლიოთ და ვიმკითხაოთ, კარტი გავშალოთ და ავტუზოთ..."

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა დავით ბაქრაძემ გადაცემა „დიდ პოლიტიკაში" სტუმრობისას განაცხადა, მერაბიშვილს თავის საკანში არსებული კამერის ვიდეოჩანაწერის მოთხოვნის უფლება აქვს, თუმცა მას ამ უფლებით სარგებლობის საშუალება არ ეძლევა. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე და უმცირესობის ლიდერი მიიჩნევს, რომ ასეთი ტიპის განცხადებაზე პროკურატურა ვალდებულია გამოძიება დაიწყოს.

„რა ვქნათ, დავჯდეთ, ყავა დავლიოთ და ვიმკითხაოთ, კარტი გავშალოთ და ავტუზოთ, თუ როგორ დავადგინოთ ჭეშმარიტება?! არცერთ პრემიერ-მინისტრს ციხეში წასვლას არ ვუსურვებ, მაგრამ არცერთი პრემიერი ამ ქვეყნისა, რომელიც ციხეში წავა, არ იქნება რიგითი პატიმარი. ეს არის პოლიტიკური შემთხვევა. ერთი წამით დავუშვათ, რომ ვანო მერაბიშვილი ტყუის, თქვენ გესმით რა არის ვანო მერაბიშვილისთვის ამ ტყუილის ფასი?!" — განაცხადა **დავით ბაქრაძემ.** მისივე თქმით, საკითხზე გამოძიების დაწყების და ვანო მერაბიშვილის განცხადების აბსურდულობის დადასტურების შემთხვევაში, ეს განცხადება მერაბიშვილს საბოლოოდ გაანადგურებს და წერტილს დაუსვამს მას როგორც პოლიტიკოსს.

„ნებისმიერ სხვა შემთხვევაში არანაირი განმარტება და ლოგიკა არ აქვს რატომ არ იყენებს ხელისუფლება ამ ფაქტს, რატომ არ ამხელს მერაბიშვილს ტყუილში და რატომ არ იღებს ფირებს. ზღაპრებს თხზავენ, რომ თურმე ციხეში შეეშინდა და თურმე ხარშილაძის დაჭერის შეეშინდა და ამ თურმეების მოგონებას არ ურჩევნიათ, ფირი ამოიღონ და თუ მართლა ტყუის ეს ადამიანი, დოკუმენტურად დაუმტკიცონ ყველას, რომ ტყუის?!" — აღნიშნა ბაქრაძემ.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიასთვის ვანო მერაბიშვილის განცხადებები არადამაჯერებელია. როგორც ბესელიამ გადაცემა „დიდ პოლიტიკაში" სტუმრობისას აღნიშნა, მიუხედავად მისი პოზიციისა, რომ მერაბიშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სიცრუედ მიაჩნია, მომხრეა, ფაქტის მოკვლევა ჩატარდეს და შესაბამისი პასუხი დაიდოს.

„არ მაქვს საფუძველი არ ვენდო პროკურატურას, არ ვენდო სოზარ სუბარს. მე პირადად ვესაუბრე მას და არ მაქვს საფუძველი ფიქრისა, რომ ადამიანი იტყუება. მიუხედავად იმისა, რომ ორი უწყება, ვინც უნდა გამოიძიოს ეს ფაქტი, თავად ამბობს, რომ არ მომხდარა ეს ფაქტი" — განაცხადა **ეკა ბესელიამ.** რაც შეეხება „ნაციონალური მოძრაობის" მოთხოვნას მერაბიშვილის საკანთან გადაღებული ვიდეოფირების გასაჯაროებასთან დაკავშირებით, ბესელიას მტკიცებით, ეს კანონით აკრძალულია და არ შეიძლება.

ვანო მერაბიშვილის განცხადებას გამოეხმაურა „დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერი ნინო ბურჯანაძე. როგორც ბურჯანაძემ აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ მერაბიშვილის არ სჯერა, მაინც მიიჩნევს, რომ ამ თემასთან დაკავშირებით გამოძიება უნდა დაიწყოს.

„თუ ეს სიმართლეა, აქ ადამიანმა მხოლოდ ორი დასკვნა შეიძლება გააკეთოს, რომ ამის გამკეთებლი პროკურორი, ხელისუფლება ან მართლა შეკრულია „ნაციონალურ მოძრაობასთან" და დგამს ნაბიჯებს, რომ გაათეთროს ეს პარტია, ან აბსოლუტურად უნიათოები, უპასუხისმგებლოები, უცოდინარები, უსუსურები არიან და მაშინ ეს არის გონებაჩლუნგობამდე მისული ნაბიჯი, რომელიც ნამდვილად არ მინდა დავიჯერო და წარმოვიდგინო, რომ დღევანდელ ხელისუფლებაში მყოფ მაღალი თანამდებობის პირს შეიძლებოდა გაეკეთებინა," — განაცხადა **ბურჯანაძემ.**

„ვანო მერაბიშვილის განცხადების რეალურობის დადგენა, ყველაზე მეტად ვისაც უნდა აწყობდეს, ეს პროკურატურაა, ყველაზე მეტად ვისაც არ უნდა აწყობდეს გამოძიების ჩატარება — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" — მიიჩნევს „საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის" ხელმძღვანელი კახა კახიშვილი.

როგორც მან „რეპორტიორში" გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, იმ შემთხვევაში, თუ ჭეშმარიტება არ დადგინდება, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" არ გაჩერდება და მუდმივად ამ თემაზე ილაპარაკებს.

„ისინი ერთი წელია ცდილობენ, ყველანაირი სამართლებრივი საკითხი გადაიტანონ პოლიტიკური დევნის ჭრილში და ეს განიხილონ მთელ საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად. ამიტომ სიტუაცია ძალიან მარტივია, გამოძიება უნდა ჩატარდეს და საზოგადოებას შედეგი გააცნონ არგუმენტირებულად. როცა დარწმუნდება საზოგადოება, რომ მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია, ამის შემდეგ „ნაციონალური მოძრაობა" უნდა დატოვო მარტო საკუთარ განცხადებასთან," — განაცხადა **კახა კახიშვილმა.**

მერაბიშვილის ციხიკური მუქარა...

ვანო მერაბიშვილის განცხადებას, გარდა პირდაპირი გაგებისა, საზოგადოებაში სხვა ინტერპრეტაციებიც მოჰყვა. გაჩნდა აზრი, რომ ყოფილი პრემიერი ამით მიხეილ სააკაშვილს აშანტაჟებს, რომ საჭიროების შემთხვევაში გამოძიებასთან ითანამშრომლებს.

ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე მიიჩნევს, რომ ვანო მერაბიშვილის ბოლოდროინდელი განცხადებები იმაზე მეტყველებს, რომ თუკი მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დადგება, იგი პროკურატურასთან ითანამშრომლებს და ამით წინა ხელისუფლების დროინდელ მაღალჩინოსნებს, მათ შორის ექსპრეზიდენტსაც ციხეში ჩასვამს.



ვანო მერაბიშვილი

გიგი უგულავა

„ვანო მერაბიშვილის განცხადება, რომ მას პროკურატურა აშანტაჟებს იმას ნიშნავს, რომ იგი მიხეილ სააკაშვილს აფრთხილებს: თუ დროულად არ გამომიყვან ციხიდან, მე გამოძიებასთან ვითანამშრომლებო. მიხეილ სააკაშვილს კი ეს არ აწყობს, რადგან მასზე კარგად არავინ იცის მისი ანგარიშების შესახებ. მისი გუშინდელი ცინიკური განცხადებაც მუქარა იყო, ის, რომ გიგი უგულავას საკანში სიამოვნებით მიიღებს, იმას ნიშნავს, რომ გამამტყუნებელი განაჩენის შემთხვევაში, უგულავასაც და სხვა დანარჩენებსაც გვერდით მოისვამს," — განაცხადა **ხაჭაპურიძემ.**

„თუკი ხელისუფლებას ღმერთი გაუწყრა და გიგი უგულავა დაუპატიმრა და იმედია, მთავარი პროკურორი სიტყვას შეასრულებს და ჩემს მეგობარს გვერდით მომისვამს. ოთხკაციან საკანში ვარ, ადგილი ბევრია და დიდი სიამოვნებით მივიღებ გიგის და მას დავეხმარები, რომ ციხის მძიმე პირობებს შეეგუოს," — განაცხადა **ვანო მერაბიშვილმა.**

თბილისის მერს გიგი უგულავას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრების გაფლანგვის ფაქტზე ახალი ბრალი წარედგინა. მერიის მაღალჩინოსნების ბრალდებას გიგი უგულავას ბრალდების სისხლის სამართლის საქმე ცალკე წარმოებად გამოეყო და გამოსაძიებლად ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს გადაეცა.

„2013 წლის 18 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე აიპ „თბილისის განვითარების ფონდიდან" სახელმწიფოს კუთვნილი 48 მილიონი ლარის გაფლანგვის ფაქტზე, სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო თბილისის მერის გიორგი უგულავას მიმართ," — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

ბრალის წარდგენის პარალელურად მთავარი პროკურატურის წინ უგულავას მხარდამჭერი აქცია გაიმართა. როგორც მთავარი პროკურატურის წინ გამართულ აქციაზე მყოფმა გიგა ბოკერიამ ჟურნალისტებს განუცხადა, მთავრობა ოპონენტების პოლიტიკურ განადგურებაზე გადავიდა, თუმცა ეს „ნაციონალურ მოძრაობას" ვერ გააჩერებს.

„პრობლემების მოგვარების მაგივრად, მთავრობა პოლიტიკური ოპონენტების განადგურების მცდელობითაა დაკავებული. ეს მათ არაფერს მოუტანს, ჩვენ ვერ გაგვაჩერებს, მაგრამ ქვეყანას აზიანებს," — განაცხადა უშიშროების საბჭოს ყოფილმა მდივანმა **გიგა ბოკერიამ.**

გიგი უგულავას საქმესთან დაკავშირებით, მთავრობას მიმართა ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ფილიპ დიმიტროვმაც.

„ჩემი რეკომენდაციაა, ვითარება სწრაფად უნდა გაირკვეს, რადგან ეს ზოგადად, ქვეყნის იმიჯზე უარყოფითად იმოქმედებს. ვფიქრობ, მსგავსი ფაქტები არ უნდა ხდებოდეს. ჩემი რჩევაა, ქვეყანაში შერჩევითი სამართალი არ არსებობდეს," — განაცხადა **დიმიტროვმა.**

„ქვეყნის იმიჯს არაფერი ემუქრება, რადგან მას სათავეში მთავრობა, პრეზიდენტი და პარლამენტი უდგას, რომლებიც პასუხისმგებლიანი ადამიანების ხელშია. ხელისუფლება პროდასავლურია, ანუ ადამიანის უფლებების დარღვევა არ იქნება დაშვებული. რაც შეეხება ამ საქმეს, როგორც მე ვიცი, პროკურატურა აქცენტს მტკიცებულებებზე აკეთებს. იმიტომ, რომ ხარ მერი, მინისტრი თუ ყოფილი პოლიტიკური ფიგურა და გეძახიან დაკითხვაზე, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მართლმსაჯულება შერჩევითია," — განაცხადა იუსტიციის მინისტრმა **თეა წულუკიანმა** და დასძინა, რომ არავინ არის დაცული სისხლის სამართლებრივი დევნისგან, თუ ამისთვის შესაბამისი მტკიცებულებები არსებობს.

როგორც საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე ამბობს, „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებს უნდათ, რომ ის ცხრა წელი ისე ჩააბაროს ისტორიას, კითხვაც აღარ არსებობდეს.

„რა ხდებოდა, ყველამ კარგად იცის, რომ უამრავი დანაშაული ხდებოდა, შესაბამისად, მიმაჩნია, რომ პროკურატურამ ახალი შემადგენლობით ძალიან ბევრი თემა უნდა გამოიწვიოს და შეისწავლოს. თუ ცხრა წლის განმავლობაში ხელისუფლების მართვას მიეჩვივნენ, ახლა იმას შეეჩვიონ, რომ ელემენტარულად ინფორმაცია მაინც მიაწოდონ შესაბამის სტრუქტურებს იმასთან დაკავშირებით, თუ სხვადასხვა ხარვეზების მიზეზი რა იყო. ეზარებათ სიარული? იარონ და მისცენ ჩვენებები" — განაცხადა **საგანელიძემ.**

ციტნე პაატაშვილი

„სოფლის დახმარების პროგრამის“ არაეფექტური პროექტები

მოხრეშილი გზები და წყალში გადაყრილი მილიონები

ბაღდათის მუნიციპალიტეტში „სოფლის დახმარების პროგრამით“ გათვალისწინებული ყველა პროექტი უკვე დასრულებულია. რაიონის 12 სოფლისთვის გამოყოფილი თანხით, რომლის საერთო რაოდენობა 502 ათას 185 ლარია, 55 პროექტი შემუშავდა.

„P.S.ფოტო“ (მარიამ პატარაია) ©

ბაღდათის მუნიციპალიტეტი

მევლუდ კიკნაველიძე

რაიონის გამგეობაში აცხადებენ, რომ სოფლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების პრიორიტეტები მოსახლეობასთან ერთად განისაზღვრა.

როგორც ირკვევა, რაიონის მოსახლეობისთვის მთავარ პრობლემას სოფლებში მისასვლელი გზების არარსებობა, ხშირ შემთხვევაში კი, მოუწესრიგებელი გზები წარმოადგენს.

სოფელ ფერსათის მოსახლეობა ამბობს, რომ მათთვის უმთავრესი პრობლემა ავარიული გზებია, რის გამოც ტრანსპორტით გადაადგილება შეუძლებელია. ფერსათის მცხოვრებლები მიიჩნევენ, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ სწორედ ამ მიმართულებით უნდა იმუშაოს.

მოსახლეობის მთავარი დაკვეთა – გზების რეაბილიტაცია — პრიორიტეტია პროგრამის ფარგლებში შემუშავებულ პროექტებშიც. წელს გზა ყველა სოფელში შეკეთდა, თუმცა, როგორც ადგილობრივ თვითმმართველობაში აცხადებენ, თანხა, რომელიც ამ მიმართულებით იხარჯება, სარგებლობის მომტანი არ არის, რადგან მცირე დაფინანსების გამო, გზების კაპიტალური შეკეთება ვერ ხერხდება, მოხრეშვა კი ექსპლოატაციის მოკლე ვადებზეა გათვლილი.

„ყოველ წელიწადს ვაკეთებთ გზების მოხრეშვას, მაგრამ როგორც კი მცირე ნალექი მოვა, ხრეშს რეცხავს და გამოდის, რომ ის თანხა, რაც ამ მიმართულებით იხარჯება, წყალში გადაყრილია. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ თანხები კი არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მოხდეს გზის მოასფალტება ან ბეტონის საფარის გაკეთება. სამწუხაროდ, მსგავსი არაეფექტური მცდელობა ყოველ წელიწადს მეორდება,“ – ამბობს **ბაღდათის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი ზაზა ენდელაძე.**

ენდელაძის შეფასებით, არაეფექტური პროექტები ბაღდათში მიმდინარე წელსაც მრავლად დაიგეგმა და განხორციელდა. მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული პროექტების მიხედვით, გზების რეაბილიტაციისთვის, სადაც მხოლოდ ორმული შეკეთება და გზების მოხრეშვა შედის, მიმდინარე წელს ბაღდათის მთელი რაიონისთვის გამოყოფილი თანხის მეხუთედი, 100 ათას ლარზე მეტი დაიხარჯა. მომავალ წელს კი ყველა ის გზა, რომელიც წელს მოიხრეშა, კვლავ შესაკეთებელი იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ „სოფლის დახმარების პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი თანხა რაიონში მსხვილბიუჯეტიანი პროექტების განხორციელების საშუალებას არ იძლევა, ბაღდათის გამგებელი მიიჩნევს, რომ პროექტის არსებობა ლოკალური პრობლემების გადასაჭრელად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

„არსებული პრობლემების გათვალისწინებით, რა თქმა უნდა, თანხა არ არის საკმარისი, მაგრამ მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის საუკეთესო საშუალებაა. უფრო მსხვილი პროექტებისთვის კი არსებობს რეგიონალური განვითარების ფონდი, რომელიც რამდენიმე დიდ ინფრასტრუქტურულ პროექტს ახორციელებს რაიონში.

„სოფლის დახმარების პროგრამის“ ფარგლებში მიმდინარე წელს რამდენიმე მსხვილბიუჯეტიანი პროექტიც განვახორციელეთ. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 42 ათას ლარიანი ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობა სოფელ დიმში. როგორც წესი, მოსახლეობა სწორედ მსგავსი საკითხების მოგვარებას ითხოვს. მაგალითად, გარეგანათების მოწყობა, სასაფლაოების შემოღობვა, წყლის მილების შეძენა და სხვა,“–ამბობს **ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებელი მევლუდ კიკნაველიძე.**

„სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში“ ბაღდათი უკვე მესამე წელია, სტაბილურად ერთი და იგივე თანხას იღებს. გამგეობაში ამბობენ, რომ თანხის რაოდენობა არ შემცირებულა, თუმცა არც გაზრდილა. სამაგიეროდ, იცვლება სოფლების დაფინანსება. კერძოდ, **მიმდინარე წელს ყველაზე დიდი თანხა სოფელმა დიმმა 76 ათას 247 ლარის ოდენობით მიიღო, სადაც მხოლოდ 4 პროექტი განხორციელდა. სოფელ ზეგანში კი 27 ათას 309 ლარი 9 მცირებიუჯეტიან პროექტზე გადანაწილდა.** გამგეობაში ამბობენ, რომ თანხები სოფლის მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით ნაწილდება.

ადგილობრივი მოსახლეობისთვის კი, როგორც ირკვევა, მთავარი არა მცხოვრებთა, არამედ პრობლემების რაოდენობაა.

მაგალითად, **სოფელ ნერგეთის** მოსახლეობისთვის მთავარი პრობლემა სამედიცინო პუნქტის არარსებობაა. მათი თქმით, უპირველესი, რაც ამ სოფელში უნდა გაკეთებულიყო, სამედიცინო პუნქტისთვის მცირე ზომის შენობის აგებაა, თუმცა მიმდინარე წელს სოფელში პრიორიტეტად გარეგანათების მოწყობა და სასაფლაოს შემოღობვა დასახელდა.

სოფელ ნერგეთში ყველა იმ ინფრასტრუქტურულ პროექტს, რაც „სოფლის დახმარების პროგრამის“ ფარგლებში ახორციელებენ, უსარგებლოს უწოდებენ და ამბობენ, რომ სამუშაოების დიდი ნაწილი უხარისხოდ კეთდება და, შესაბამისად, თანხა, რომელიც იხარჯება, არაეფექტურია.

ხარვეზებით შესრულებული სამუშაოებისთვის მიმდინარე წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურულ პროექტებს სამი სამშენებლო კომპანია ჩამოაშორეს. მათ შორის შპს „ამაგი“, რომელმაც სოფელ ნახახულევში საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაზე აიღო პასუხისმგებლობა, თუმცა კომპანიამ 9 ათას ლარად მოგებული ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოები უხარისხოდ შეასრულა, რის გამოც ხელშეკრულება შეუწყდა, საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია კი გაურკვეველი დროით გადაიდო. გამგეობაში აცხადებენ, რომ კომპანიისთვის აუნაზღაურებელი თანხები ისევ აღნიშნულ ბაღს სხვადასხვა ინვენტარის შესაძენად ხმარდება.

ვადების დარღვევისთვის და ხარვეზებით შესრულებული სამუშაოების გამო მიმდინარე წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტში „სოფლის დახმარების პროგრამაში“ მონაწილე სულ სამი კომპანია დაჯარიმდა.

ბაღდათში პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი პროექტების ჩაბარების ვადა 15 ნოემბერს ამოიწურა. მუნიციპალიტეტში ამბობენ, რომ ყველა სამუშაო უკვე დასრულებულია, შედგენილია ოქმები და შესრულებული პროექტები უკვე გადაეცა სამინისტროს.

მარიამ პატარაია

გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

მასალა მომზადებულია „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ პროექტის ფარგლებში

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ თვითმმართველობის კანონპროექტს ნაჩქარევად შედგენილს უწოდებს

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ქუთაისის ოფისის წარმომადგენლებმა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან დაკავშირებით საკუთარი შენიშვნები და რეკომენდაციები არასამთავრობო ორგანიზაციისა და მედიის წარმომადგენლებს გააცნეს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ იურისტები თვითმმართველობის კანონპროექტს უარყოფით შეფასებას აძლევენ და ამბობენ, რომ მთავარი ხარვეზები, რის გამოც საჭირო გახდა კოდექსის შეცვლა, კანონპროექტში გათვალისწინებული არ არის.

„მისასალმებელია ის ფაქტი, რომ პირდაპირი წესით მოხდება მერისა და გამგებლის არჩევა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი და გარანტი რეალური თვითმმართველობის მიღების. მთავარი მინუსი ამ კანონპროექტის, არის ის, რომ საკრებულოს მერის ლეგიტიმაციის საკითხის დაყენება ყოველგვარი დასაბუთების გარეშე შეუძლია და, რაც მთავარია, ამის უფლება წელიწადში რამდენჯერმე ექნება. ქუთაისის მაგალითი ყველაზე კარგი საშუალებაა იმის წარმოსადგენად, რა შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში თუ საბოლოოდ ასეთი სახით შევა კანონი ძალაში,“ — აცხადებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ იურისტი თეონა ზაქარაშვილი. მისი თქმით, ისინი კანონპროექტზე მომუშავე ჯგუფს სთავაზობენ რეკომენდაციას აპელაციის სასამართლოს ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებით, რომელიც შეისწავლის მერისა თუ გამგებლის ლეგიტიმაციის საკითხს, მისი საქმიანობიდან გამომდინარე.

ორგანიზაციას ასევე შენიშვნები აქვს თვითმმართველი ქალაქის ბიუჯეტთან დაკავშირებით. მათი თქმით, კანონპროექტი ბუნდოვანია ბიუჯეტში ადგილობრივი შემოსავლების განაწილებასთან მიმართებაში. კერძოდ, არ არის დაკონკრეტებული საშემოსავლო გადასახადის რამდენი პროცენტი რჩება ადგილზე და რამდენი მიდის ცენტრალურ ბიუჯეტში.

ბუნდოვანს უწოდებს არასამთავრობო ორგანიზაცია გუბერნატორის ფუნქციებთან დაკავშირებულ ცვლილებებსაც. მხარის რწმუნებულს ახალი კოდექსით ფუნქციები შეეზღუდება და რჩება მხოლოდ ეკონომიკური ჩართულობა, თუმცა, იურისტების თქმით, კანონპროექტში არ არის დაკონკრეტებული როგორ უნდა მოხდეს მისი ჩართვა ამ მიმართულებით.

ერთ-ერთი მთავარი შენიშვა კი, რაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ თვითმმართველობის კანონპროექტთან დაკავშირებთ აქვს, არის ის, რომ პროექტი მომზადდა მოკლე ვადებში.

„კანონპროექტი დაწერილია ძალიან შემჭიდროვებულ ვადებში, მხოლოდ თეორიულ ცოდნაზე დაყრდნობით და არა პრაქტიკული გათვლებით. ჩვენი მთავარი რეკომენდაცია არის ის, რომ არ უნდა ვიჩქაროთ,“ — აცხადებენ იურისტები.

მარიამ პატარაია

psnews.ge

„კერძო საფინანსო ორგანიზაციების ქმედება კრიმინალია!“ — საპროტესტო აქცია ქუთაისში

ქუთაისში მდებარე ბაზრობებთან გახსნილი კერძო საფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემული მაღალპროცენტიანი სესხები პარტია „თავისუფალი საქართველოს“ იმერეთის ორგანიზაციის წევრებმა მოვაჭრეებთან ერთად გააპროტესტეს.

ორგანიზაციის თავმჯდომარის გოგი წულაიას განცხადებით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს მომხმარებლები შეცდომაში შეჰყავთ, შემდეგ კი მათ, არსებული მცირე დავალიანების გამო, ბინებს და ქონებას უყიდიან.

„ესენი, ფაქტობრივად, კერძო მევახშეები არიან, რომლებიც სპეციალურად ბაზრობებთან იხსნებიან, რადგან მათი მომსახურებით იმ გაჭირვებულმა მოვაჭრეებმა ისარგებლონ, რომელთაც კარტოფილის შესაძენად სესხი გამოაქვთ, მცირე ხელისშეშლის გამო კი მათ სახლებს უყიდიან. ეს საფინანსო ორგანიზაციები თავს გაფორმებული ხელშეკრულებით იმართლებენ, არადა რა წერია იმ ხელშეკრულებაში რეალურად არავინ იცის, რადგან ისეთი წვრილი შრიფტით იწერება, წაკითხვა შეუძლებელია. საქართველოში არსებული კანონით აკრძალულია ხელშეკრულების წვრილი შრიფტით წერა, გამოდის სახელმწიფო თავად არის კანონდამრღვევი, თუმცა პასუხს მხოლოდ გაჭირვებულ მოსახლეობას სთხოვენ. მე, იქნება წერა-კითხვა არ ვიცი, შენ, როგორც სახელმწიფომ, შენი მოქალაქე ხომ უნდა დამიცვა?“ – აღნიშნა **გოგი წულაიამ.**

დაზარალებული მოქალაქეები დაბალპროცენტიანი სესხების შემოღებას და აღსრულების შეჩერებას მოითხოვენ.

„ყველა ანგარიში დაგვიყადაღეს. ჩვენი ხელით გამოგვატანინეს ტექნიკა, ოქრო და ახლა ბინებს გვიყიდიან, ესენი არიან ქურდები და კრიმინალები, რადგან თვიურად 12%-იანი სესხი კრიმინალია უკვე, ის არის გასაგები ვინ ლობირებს მათ და სახელმწიფო რატომ დუმს ამ ყველაფერზე? წინა ხელისუფლება იძახდა, რომ შავი სამყარო გაანადგურა, სამაგიეროდ თეთრი ქურდები დატოვა, რომლებიც მოსახლეობას უარეს დღეში აგდებენ,“ – აღნიშნეს აქციის მონაწილეებმა.

შპს TBI-ის დირექტორის ალექსანდრე ჭანტურიძის განცხადებით კი, მათ აქვთ იურიდიული უფლება, სადაც სურთ იქ გახსნან ოფისი. მისივე თქმით, მსესხებელს ხელშეკრულების გაფორმების დროს დეტალურად უხსნიან რა რაოდენობის თანხა, რა ვადებში უნდა დაფაროს, გადაუხდელობის შემთხვევაში კი რა სანქციები დაეკისრებათ, ამიტომ თავის მართლება, რომ ვერ წაიკითხეს რა ეწერა, საფუძვლიანი არგუმენტი არ არის.

„ჩვენ გავცემთ სესხებს, მაგალითად, 300 ლარი 35 დღეში უნდა დაიფაროს, დღიური გადასახადი კი 10 ლარს შეადგენს. კარგად იციან ჩვენი პირობები, აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებას ხელს უშუალოდ სესხის გამტანი და თავდები აწერენ და თუკი ორმა ადამიანმა წერა-კითხვა არ იცის, ფულის დათვლა როგორღა შეუძლიათ?“ — განაცხადა **ალექსანდრე ჭანტურიძემ**.

ნესტან ჩაგელიშვილი

psnews.ge

„თვითმმართველობის რეფორმით მთავრობა უფლებებს კარგავს და ხალხს აძლევს"

თვითმმართველობის რეფორმა, შესაძლოა, პირვანდელი ფორმით აღარ გატარდეს — კანონმდებლებმა პროექტში რამდენიმე ცვლილება უკვე შეიტანეს.

თუ რა შედეგი შეიძლება მოიტანოს რეფორმის გატარება-არგატარებამ, ან ცვლილებებმა კანონპროექტში, ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობების კონგრესის ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის ექსპერტთა საბჭოს წევრი საქართველოდან, „ადგილობრივი დემოკრატიის ქსელის ცენტრის" თავმჯდომარე დავით ლოსაბერიძე საუბრობს.

— ბატონო დავით, რატომ დადგა თვითმმართველობის რეფორმის გატარების აუცილებლობა და რა პრობლემები აქვს არსებული თვითმმართველობის პირობებში ქვეყანას?

— ნებისმიერ ქვეყანაში ანალოგიური ტიპის რეფორმები 40 წელიწადში ერთხელ მაინც ტარდება. როცა ახალი რეალობა დგება, ქვეყანა გადახედავს თავის მოწყობას და ხდება გადახალისება. ქვეყნები, რომლებიც, ათეული წელი წელავენ ამ პროცესს, არსებობას კოლაფსით ამთავრებენ. ამის ნათელი მაგალითი საბჭოთა კავშირია. ჩვენი პირველი პრობლემა გადაჭარბებული ცენტრალიზაციაა, რომელიც მემკვიდრეობით საბჭოთა კავშირიდან დაგვრჩა. თუ კანონი არ შეიცვალა, სისტემაც არ შეიცვლება. თვითმმართველობის ფუნქცია ორი ძირითადი პრინციპით გამოიხატება: ერთი — ხელისუფლება ახლოს უნდა იყოს მოსახლეობასთან, უნდა იცოდეს მისი რეალური საჭიროებები და საზოგადოებას უნდა ჰქონდეს საშუალება მივიდეს ხელისუფლებასთან თავისუფლად, გააკონტროლოს ის და პასუხიც მოსთხოვოს; მეორე — აუცილებელია საზოგადოებას ხელისუფლებამ რეალური საჭიროების მიხედვით სერვისები (მომსახურება) მიაწოდოს. ეს არის სისტემა, რომლის მოწყობაც როგორც ხელისუფლების, ასევე საზოგადოების ინტერესებშია. საქართველოში მოქალაქეებთან სიახლოვის პრობლემაა. საზოგადოებას არ აქვს მექანიზმი ხელისუფლება აკონტროლოს და თავისი საჭიროებების გადაწყვეტაში ჩართული იყოს. ამ რეფორმით, თუ იგი განხორციელდა, მმართველობა ცენტრიდან ადგილობრივ დონეზე უნდა გადანაწილდეს და შესაბამისი ფინანსები უნდა ჰქონდეს.

— თუ ეს რეფორმა სასიკეთოდ შეცვლის მდგომარეობას, რატომ არის ასეთი წინააღმდეგობა?

— რეფორმის მოწინააღმდეგეების მიზანია, არსებული სისტემა არ შეაცვლევინოს მთავრობას; ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ. ყველას აქვს უფლება, საკუთარი აზრი გამოხატოს, მაგრამ ეს შენიშვნები და რეკომენდაციები რეალური უნდა იყოს. მაგალითად, მე რომ ფინანსთა მინისტრი ვიყო, ამის წინააღმდეგი ვიქნებოდი, რადგან თანხები ისედაც უნდა ვმართო და ახლა კიდევ მემატება სამუშაო, რომ ვაკონტროლო ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტები. შს მინისტრი რომ ვიყო, ამ შემთხვევაშიც შევწინააღმდეგებოდი, რადგან შესამუშავებელი მექნება ადგილზე ეფექტური კონტროლის ახალი მექანიზმი, მეტი მუშაობა მომიწევს არსებული რესურსით და ზედმეტი თავის ტკივილი არ მინდა. პარადოქსია, მაგრამ ახლა, როცა ხელისუფლება თავად მოდის და გვეუბნება ადგილობრივ დონეზე, რომ თქვენ აქამდე ცოტა ფული და ცოტა უფლება გქონდათ, მაგრამ ახლა გაძლევთ ბევრ ფულს და ბევრ უფლებას, სიხარულით უნდა გადავეხვიოთ ამ ხელისუფლებას; რეალურად კი, ადგილებზე ბევრი ამის წინააღმდეგია. ეს გასაგებია, რადგან ცოტა ფულით რასაც მინდა იმას ვაკეთებ, ვასრულებ ხელისუფლების ბრძანებებს და მოვალეობაც ცოტა მაქვს, მაგრამ როცა უფლებებს მიზრდი, ხალხის კონტროლს ამკაცრებ და სამუშაოს მიმატებ, დისკომფორტს მიქმნი! პოლონელმა მეგობრებმა გვითხრეს: ყველაფერში უცნაური ხალხი ხართ ქართველები; ყველა ქვეყანაში ყვირიან — მეტი უფლება გვინდა და მთავრობა ძალაუფლებას ებღაუჭება; თქვენთან კი მთავრობა იძახის — წაიღეთ ეს უფლებები და ხალხი ამბობს, არ გვინდა უფლებებიო! მთავრობა ამ რეფორმით უფლებებს კარგავს და ხალხს აძლევს, მაგრამ ბევრს, როგორც ჩანს, ზედმეტი პასუხისმგებლობა და უფლება არ უნდა.

— რეფორმის ამ სახით გატარების წინააღმდეგია საპატრიარქოც; შიშობენ, რომ ეს ქვეყნის დაშლას გამოიწვევს...

— ბუნებრივია, როცა ასეთი განწყობა იქმნება, ამ დროს საპატრიარქო აკეთებს სავსებით ლოგიკურ განცხადებას, რომ ფედერალიზაცია და რეგიონებად დაშლა ქვეყანას საფრთხეს უქმნის. საზოგადოებაშიც არის ეს განწყობა, რითაც, რეფორმის მოწინააღმდეგე ჯგუფები იხეირებენ. გარდა ამისა, კანონპროექტზე დარტყმა წამოვიდა დავით ნარმანიას თბილისის მერობის კანდიდატად დასახელების შემდეგაც. ნარმანიას პერსონაზე დარტყმით უნდათ ამ კანონს დაარტყან და პირიქითაც, რადგან რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, 2-მილიარდიანი ბიუჯეტით, სათავეში უდგას „გარედან მოსული" პიროვნება, როგორც ამას მოწინააღმდეგე ჯგუფები თვლიან; არ აპარინებს არაფერს, „ატკატები" არ არის და „ადგილს აფუჭებს" მათი აზრით. მოწინააღმდეგე ჯგუფებს იმედი ჰქონდათ, რომ სამინისტრო გაუქმდებოდა და ნარმანიასაც ადვილად მოიშორებდნენ, თუმცა, ევროპის საბჭომ განაცხადა, რომ ამ სამინისტროს გაუქმება არ შეიძლებაო და პროცესიც შეჩერდა. მეც ვფიქრობ, რომ სამინისტროს ამ სახით დატოვება არ შეიძლება, რადგან რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის გაერთიანება იგივეა, რაც ცეკვის და ხინკლის სამინისტრო ერთად. ინფრასტრუქტურა ეკონომიკის სამინისტროში უნდა იყოს, მაგრამ ეს სამინისტრო ისედაც მონსტრია და კიდევ რაიმეს შეერთება, ამ ეტაპზე, წარმოუდგენელია. ბუნებრივია, პროვოკაციებსაც უნდა ველოდოთ. არ არის გამორიცხული, ეთნიკურ სიმეხს ათქმევინონ, რომ ჩვენ ავტონომია გვინდა და ა.შ. ამით კიდევ ერთხელ გაუჩნდება შანსი მოწინააღმდეგე მხარეს, რომ რეფორმის გატარებას შეეწინააღმდეგოს. საერთოდ რომ არ გავატაროთ რეფორმა ესეც შეიძლება, მაგრამ მერე ნურავის ეწყინება, რომ ხელისუფლება ძველი სტილით გააგრძელებს მუშაობას. რაგინდ უცნაურიც არ უნდა იყოს, ერთადერთი პარტია, რომელიც ამ პროცესებს საღად უყურებს, „ნაციონალური მოძრაობაა", მაგრამ მათ სხვა პრობლემა აქვთ — „ბიძინას გადმოგდებული" არ უნდათ. არადა, თუ რეფორმების პროცესი დროში კიდევ გადაიწევს, ქვეყანას ისევ არსებული ნაკლოვანებების ტყვეობაში დავტოვებთ.

— არის მოსაზრება, რომ ჯერ ჩატარდეს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და რეფორმაზე მუშაობა ხელისუფლებამ შემდეგ დაიწყოს...

— რეფორმა დაჩქარებული წესით ნამდვილად არ მიმდინარეობს, წელიწადნახევარია მიდის ამაზე მსჯელობა. შეიძლება ხელისუფლებას მხოლოდ ის „უსაყვედურო", რომ „ნაციონალებს" არ მიბაძა: დაიწყეს სხვადასხვა ჯგუფებთან კამათი, მსჯელობა და დრო გაეპარათ. „ნაციონალები" კიდევ, ერთ ღამეში დაწერდნენ კანონპროექტს, მეორე დღეს დაამტკიცებდნენ და ფაქტის წინაშე გვაყენებდნენ. 1991, 1997, 2001, 2005 წლებში ახალი პოლიტიკური გუნდი ყოველთვის აცხადებდა — ახლა ვერ ვასწრებთ რეფორმას, ეს არჩევნები ასე ჩავატაროთ და კარგად რომ „მოვჯდებით", მერე გავატაროთ რეფორმაო. მე თუ კარგად ვარ, ყველაფერს ვმართავ და მონებიც მყავს, ამ ადგილს დავკარგავ და რეფორმის გატარებას დავიწყებ?! ახლა დგას მომენტი, რასაც სოციოლოგიაში და პოლიტოლოგიაში „შესაძლებლობების ფანჯარას" უწოდებენ. ეს ფანჯარა პერიოდულად იხსნება, თუმცა როდის, წინასწარ არავინ იცის. თუ ეს ფანჯარა არ გაიხსნა, წინ ვერ წავალთ. მე, პირადად, უკვე მეოთხე წრეზე მივდივარ თვითმმართველობის რეფორმის განხორციელების პროცესში, მაგრამ წინა შემთხვევებისგან განსხვავებით, ვგრძნობ, რომ რეფორმის განხორციელების ძალიან დიდი პოლიტიკური ნებაა. თავიდანვე იყო ივანიშვილის სურვილი, თუ გნებავთ იდეაფიქსი, რომ თვითმმართველობის რეფორმა უმთავრესია და უნდა გაკეთდეს. რომ არ ყოფილიყო ასეთი დიდი მხარდაჭერა, არ იქნებოდა პროცესი ასე წინ წასული. მაქსიმალურად კიდევ ითმობა საკითხები, რომ ძირითადი პრინციპი გავიდეს, რაც ამ ქვეყანაში გაჩენს შანსს, რომ საზოგადოებას ხელისუფლების კონტროლის ინსტრუმენტი ჰქონდეს. თუმცა, ეს შანსი არ ნიშნავს, რომ ყველაფერი იდეალურადაა.

— მიიჩნევთ, რომ რეფორმის გატარების შემთხვევაში ქვეყანას რეგიონებად დაყოფის საფრთხე არ ემუქრება?

— რეგიონებად დაყოფა, რაზეც რეფორმის მოწინააღმდეგეები აპელირებენ, რბილად რომ ვთქვათ, აბსურდულია. ვინმეს რომც უნდოდეს რეგიონებად დაყოფა, ან საერთოდ რეგიონების გაუქმება, ამას ვერ გააკეთებს. კონსტიტუციაში დაფიქსირებულია გუბერნატორი, როგორც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი. თუ ეს ვინმეს არ მოსწონს, მაშინ კონსტიტუცია უნდა შეიცვალოს. ამ ინსტიტუტისთვის დამატებითი უფლებების მინიჭება სისულელე იქნებოდა და თვითმმართველობის კოდექსი ამას არც არეგულირებს. საკითხი ძალიან მარტივად დგას — იმ გუბერნატორს, ვისაც ხელისუფლება დანიშნავს, უნდა ჰქონდეს თუ არა ვერტიკალი და თვითმმართველობებისთვის „თავში ჩარტყმის" უფლება? ზრდილობისთვის მაინც ჰკითხონ თვითმმართველობებს, როგორ ჯობია თვითმმართველობაში არსებული პრობლემის გადაწყვეტა. თვითმმართველობას უნდა ჰქონდეს ოფიციალურად უფლება, რომ შეშინებულმა კი არ თქვას თავისი აზრი, არამედ, ღიად დააფიქსიროს. გადაწყვეტილებას ხომ მაინც ცენტრალური ხელისუფლება იღებს.

— თუ გადაწყვეტილებას მაინც ცენტრალური ხელისუფლება იღებს, სად არის რეგიონული თვითმმართველობა?

— არც ერთ ეტაპზე, არც ერთ ვარიანტში, რომლებიც მუშავდებოდა, რეგიონებში პოლიტიკური დონის შექმნაზე არაფერი ეწერა. ზოგი ამბობდა, რომ საბჭოს ადგილზე უნდა ჰქონოდა ბიუჯეტების განკარგვის უფლება, თუმცა ბიუჯეტი რეგიონულ დონეზე ვერ იქნება. რომ ყოფილიყო, ევროპული ქარტიაც გვავალდებულებს, რომ ეს ბიუჯეტი კონტროლდებოდეს. ერთი ადამიანის დასმა და ფულის უკონტროლოდ მისთვის მიცემა არ შეიძლება.

— ამ შემთხვევაში, გუბერნატორთან არსებული საბჭო მაკონტროლებელია?

— საბჭოს მხოლოდ და მხოლოდ საკონსულტაციო უფლება აქვს. კონსტიტუციის გარეშე მის უფლებებს ვერც ვერავინ გაზრდის და ვერც შეამცირებს. ამიტომ, საუბარი იმაზე, რომ ვიღაცამ რაღაც დონე შემოიღო, ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული. ყველა პარტიას თავის ალტერნატიულ კანონპროექტში უწერია, რომ აუცილებელია იყოს სამხარეო რგოლი. ფედერალიზაციაზე საერთოდ არ ყოფილა საუბარი, არც რეგიონალიზებულ სახელმწიფოზე. ზოგი იმასაც კი მოგვიწოდებს, რომ საერთოდ აიკრძალოს ხსენება გურიის, სამეგრელოს, იმერეთის და ა.შ. მაგრამ მოქმედ კანონმდებლობაში არსებობს გურიის, სამეგრელოს, იმერეთის, კახეთის სამხარეო სამმართველოები (მაგალითად, შსს-ში), მაშინ ესეც უნდა გავაუქმოთ? ავუკრძალოთ ეკლესიებს მხარეების მიხედვით საეპისკოპოსოების ხსენება? ეს ხომ აბსურდი იქნება?! აჟიოტაჟი არაფრის გამოა ატეხილი.

— რაც შეეხება საზოგადოებრივ საბჭოებს; რა პრობლემას შექმნის მისი ამოღება კოდექსის პროექტიდან?

— საზოგადოებრივ საბჭოს უნდა ჰყოლოდა არჩეული თავმჯდომარე, თუმცა რა უფლებები უნდა ჰქონოდა, ეს ვერ გაიწერა. თუ ის იქნებოდა არჩეული, მაგრამ ვერ შეასრულებდა ხალხის მოთხოვნას, ამ შემთხვევაში პრობლემა იქმნებოდა. საბჭო არ იყო ხელისუფლების ორგანო/დონე და იგი ვერ გამოსცემდა ბრძანებულებას, მაგრამ სოფელს ექნებოდა სარიტუალო სახლების, კლუბების, ბიბლიოთეკის და ა.შ. განკარგვის უფლება. ახლა ზოგან მუნიციპალიტეტია ამ ქონების პატრონი, ზოგან — ეკონომიკის სამინისტრო, მაგრამ ობიექტების უმეტესობა არავის ბალანსზე არ არის. სოფლის საბჭოს ვერ ექნებოდა ბიუჯეტი, რადგან მას არ ჰყავდა წარმომადგენლობითი ორგანო და ვერც ეყოლება. ეს საბჭო თვითმმართველობის რგოლი არც იყო, ეს იყო საზოგადოების ჩართულობის რგოლი, რომელსაც შეიძლებოდა ჰქონოდა ფული და ხარჯთაღრიცხვა ეწარმოებინა, მაგრამ ითქვა, რომ არჩევნების დროს გამგებელი თავის ხალხს ჩასვამს ამ საბჭოშიო და ეს არ მოეწონათ. ამასთან, საბჭო ერთდროულად ყველა სოფელში კი არა, მხოლოდ იქ იქნებოდა, სადაც მოსახლეობა მოინდომებდა. ეს იყო სსიპ-ი, სადაც ყველა რეგისტრირებულ მოქალაქეს ექნებოდა ხმის ამოღების და ჩართულობის უფლება. ის, რომ ქვედა დონეზე საზოგადოებრივი საბჭოები არ იქნება, კარგი არ არის, რადგან საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც მოქალაქეთა ჩართულობას უზრუნველყოფდა, აღარ შეიქმნება. ვფიქრობ, მოსახლეობას ამ მხრივ ნაწილობრივ იმედგაცრუებაც ელის.

— როცა აღარ იქნება საზოგადოებრივი საბჭო, როგორ მოხდება მოქალაქეთა ჩართულობა თვითმმართველობის პროცესში?

— ეგ საინტერესოა, თუმცა ჯერ არ ვიცი რა ფორმით და როგორ იქნება კანონი საბოლოოდ ჩამოყალიბებული. ნაბიჯ-ნაბიჯ ყველაფერს ათმობინებენ კანონპროექტის ავტორებს რეფორმის მოწინააღმდეგეები და როგორც ჩანს, ეს საბჭოებიც ამ დათმობებს შეეწირა. საზოგადოებას ამ კანონითაც და მოქმედი კანონითაც შეეძლება პროცესებში ჩაერთოს — პეტიციები დაწერონ, მაგრამ შემდეგში მოსახლეობის მოთხოვნის აღსრულების რა მექანიზმი რჩება?! არც ვიცი, რა არის ამ დონესთან დაკავშირებული წინააღმდეგობა და და არც ის ვიცი, კანონში როგორ ჩაიწერება ადგილობრივი საბჭოების დატოვება-არდატოვების საკითხი, მაგრამ მე არც რეგიონულ დონეზე ვარ საბჭოების გაუქმების მომხრე და არც საუბნო საბჭოების დონეზე.

— რეგიონული საბჭოების გაუქმებაზეც არის საუბარი?

— ყველაფერია შესაძლებელი, თუმცა ზუსტად ვერაფერს გეტყვით. თავიდან სხვა ფორმით იყო თვითმმართველობის რეფორმის გატარებაზე საუბარი, მაგრამ დროდადრო ხელისუფლება რაღაც საკითხებს თმობს და კიდევ რა შეეწირება ამ დათმობას, არავინ იცის.

— რაც შეეხება ტრანსფერებს და მუნიციპალიტეტებისთვის ქონების გადაცემას. ამ შემთხვევაში თუ იქმნება პრობლემა?

— დღეს, ყოველწლიურად 1 მილიარდ 800 მილიონი რეგიონებზე მიდის ისე, რომ რეგიონებს არ ეკითხებიან, რაში რა უნდა დაიხარჯოს. მილიარდნახევარი ან მილიარდი მაინც თუ დაიხარჯება ადგილობრივი საჭიროებისამებრ, პრობლემა უფრო ეფექტურად მოგვარდება. ამასთან, ქონების გადაცემის პროცესი რეფორმის ფარგლებში 2017 წლამდე იმიტომ არის გაწერილი, რომ სახელმწიფომ რეალურად არ იცის, რა ქონებას ფლობს. სრული პიარი იყო, რომ აცხადებდნენ რეესტრი მუშაობს, ყველაფერი მოწესრიგებული და აღრიცხულიაო. სინამდვილეში, არაფერი არ არის აღრიცხული. ეკონომიკის სამინისტროს ქონების აღსარიცხად ვადა 2016 წლამდე აქვს. თუმცა, ქონების გადაცემის პროცესი მანამდეც დაიწყება, მაგრამ მხოლოდ იმ ქონების, რაც აღრიცხულია. ამასთან, კანონები ისეთი ქაოტურია ჩვენთან, რომ ერთმანეთსაც ეწინააღმდეგებიან და საკუთარ თავსაც. მაგალითად, თვითმმართველობას უნდა გადაეცეს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები, მაგრამ ტყის კოდექსში არაფერი წერია თვითმმართველობაზე. რომელ კანონს უნდა დავუჯეროთ? ჩვენი დათვლით, 111 მოქმედი კანონია შესაცვლელი, რომელიც ერთმანეთს ეწინააღმდეგება. თუ პრინციპებზე ახლავე არ მოხდა პოლიტიკური ნების მკვეთრი დაფიქსირება, შედეგად „ქართული ოცნებაც" იმას მიიღებს, რაც „მრგვალმა მაგიდამ", „მოქალაქეთა კავშირმა", „აღორძინებამ" და „ნაციონალურმა მოძრაობამ" მიიღეს.

— რამდენად აუცილებელია ვენეციის კომისიის დასკვნა და არის თუ არა ის სავალდებულოდ შესასრულებელი?

— 15-დან 20 დეკემბრამდე ევროპელი მეგობრების დასკვნა ამ კანონპროექტთან დაკავშირებით უკვე იქნება. რაც შეეხება იმას, რომ ევროსაბჭოს (ვენეციის კომისიის, კონგრესის, სხვა სტრუქტურების) დასკვნა დახურული ინფორმაციაა და ხალხს უმალავენ, ტყუილია, რადგან კომისიის დასკვნა მთავრობამ ხალხს რომც დაუმალოს, ევროპის საბჭოს საიტზე დევს. ამასთან, ქართველებმა ამ 20 წლის მანძილზე ისე გავიტეხეთ სახელი, ევროსაბჭო დოკუმენტებს თავად თარგმნის ქართულად, რომ თარგმანშიც არ გააპარონ ტყუილი. იმ ჩასწორებებზე კი, რაც შეიძლება აწი შევიდეს კოდექსში, ევროსაბჭო დასკვნას ვერ გააკეთებს, სანამ პროექტი თავიდან არ გადაეგზავნება. ეს კი დროში გაიწელება და არჩევნების ძველი სისტემით ჩატარება მოუწევთ. ამ შემთხვევაში კი, მხოლოდ სახელისუფლებო პარტია იხეირებს, სხვა პარტიებისათვის სამოქმედო ასპარეზი აღარ დარჩება.

მოამზადა თამთა კაკაურიძემ

მოამზადა საქართველოს მედია მონიტორინგის ცენტრმა (GMMC), ფონდის „ღია საზოგადოება — საქართველოს" მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.
ტექსტში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ფონდის მოსაზრებებს.

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

პრიორიტეტული სკვერები ხონში, ხეები მინი სტადიონზე და გარეგანათება

სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოების შესახებ ადგილობრივები ინფორმაციას არ ფლობენ

სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში ხონის რაიონის 9 ტერიტორიულ ორგანოში შემავალი 38 სოფლისთვის რეგიონული განვითარების სამინისტროსგან ჯამში 505 180 ლარი გამოიყო, რომლის ფარგლებშიც მიმდინარე წელს სხვადასხვა სახის სამუშაოები 88 ობიექტს ჩაუტარდა.

სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში სოფლებში შერჩეული პრიორიტეტების შესრულების ვადები უკვე დასრულდა. გაზეთი „P.S.“ ეტაპობრივად ახდენდა სხვადასხვა სოფლებში შესრულებული სამუშაოების მონიტორინგს.

სოფელი ივანდიდი

ამჯერად, „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ პროექტის ფარგლებში ხონის რაიონის, ივანდიდის და გუბის ტერიტორიული ორგანოები შევარჩიეთ. დასახელებულ სოფლებში სამუშაოდ ბარბარობის დღესასწაულზე გავემგზავრეთ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმერული სტუმარ-მასპინძლობის გამოვლენისა, ივანდიდის გამგეობაში ჟურნალისტს „მეკვლედ“ ნამდვილად არ ისურვებენ.

ივანდიდის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულს **დურმიშხან ტაბიძეს** სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში შერჩეულ პრიორიტეტებზე ტერიტორიული ორგანოს ავარიულ შენობაში ვესაუბრეთ, სადაც თანამშრომლებს, ადგილობრივებთან ერთად, სახელდახელოდ ჰქონდათ სუფრა გაწყობილი, თუმცა იმერელი მასპინძლები არც ამჯერად დაიბნენ და გამგეობაში გაშლილი სუფრა ბარბარობის დღესასწაულით ახსნეს.

რეგიონული განვითარების სამინისტროს მიერ ტერიტორიული ორგანოსთვის გამოყოფილი 42 000 ლარით სოფელში 4 პრიორიტეტი შეირჩა, რომელთაგანაც 3 დასრულდა, ერთი კი მომავალ კვირაში დასრულდება.

„გამოყოფილი 42 000 ლარისთვის ადგილობრივმა მოსახლეობამ 4 პრიორიტეტი შეარჩია, ესენია: გარეგანათება, სკვერის მოწყობა, მინი სტადიონი და ე.წ. ხიდი. გარეგანათებისთვის, რომელიც ჯამში 2, 200 კმ მეტრის მონაკვეთზე გაკეთდა, 20 000 ლარი გამოიყო, რომელიც ტენდერში გამარჯვებულმა ცაგერულმა ფირმამ გააკეთა. სკვერისთვის მოსაწყობად 10000 ლარი გამოიყო, რომელიც ადგილობრივი მეწარმის, ჩოგოვაძის ფირმამ „გზადაგზამ“ გააკეთა, ასევე 10 000 ლარი დაიხარჯა მინი სტადიონის მოსაწყობად. რომელმა ფირმამ შეასრულა სამუშაოები, ზუსტად არ მახსოვს. აუდიტის სამსახურმა სკვერის და გარეგანათების შესრულებული სამუშაოები ჩაიბარა. დარჩა მხოლოდ მინი სტადიონი.

რაც შეეხება მოსახლეობის ჩართულობას, სპეციალისტების დახმარებით გავაფრთხილეთ. დაახლოებით, 300 ადამიანი ესწრებოდა კრებას. ყველას სურს, მის უბანში გაკეთდეს რაიმე, ამიტომ გამოყოფილი თანხა ნაწილდება, რის გამოც დიდი სამუშაოების შესრულება ვერ ხდება, არადა, ჩვენ გაფრთხილებული ვართ, რომ მითითებები არ მივცეთ და მოსახლეობამ პრიორიტეტები თვითონ შეარჩიოს. საუბედუროდ 10 000 ლარი დიდ თანხად მოსჩანს, თორემ დაქვითებია დიდი, სახარჯო ფული მეტია, ინდმეწარმის ხელფასი, ასევე გარკვეული თანხა ირიცხება აუდიტის სამსახურში, ამას ემატება საშემოსავლო გადასახადი და მასალის თანხა, რაც 5-6 ათასი ლარი ჯდება,“ — აღნიშნა ივანდიდის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა.

ჩამოთვლილ პრიორიტეტებთან ერთად, სოფელში ერთ-ერთ გზაზე, დაახლოებით, 8 მეტრიანი სანიაღვრე მილი ჩაიდო, რისთვისაც 300 ლარი გამოიყო.

შესრულებული სამუშაოები რწმუნებულმა თავად დაგვათვალიერებინა. უჩვეულო სანახავი აღმოჩნდა სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში გაკეთებული, შემოღობილი მინი სტადიონი, რომელშიც ორი დიდი ხე დგას. რწმუნებულის განცხადებით, ხეები ისტორიულია და ვერანაირად ვერ მოჭრიდნენ, თუმცა მისივე თქმით, სტადიონი საკმარისია სათამაშოდ. მომავალში იქვე მოწყობილ სკვერში კი მოთამაშეები დაისვენებენ.

სტადიონის მნახველს აუცილებლად გაახსენდება ქართული ფილმი „იმერული ესკიზები“, სადაც ფეხბურთელებს ბურთი ხან ხიდან ჩამოაქვთ, ხანაც გაბრაზებული მეზობლის ბაღიდან მოაქვთ. ალბათ, ეს ჩვეულებრივი დამთხვევა არ არის, აღნიშნული ფილმი ხომ ხონის რაიონშია გადაღებული.

რატომღაც სოფლებისთვის, რომელთაც გზიდან დაწყებული, გარეგანათებით დასრულებული, არაერთი პრობლემა აქვს, პრიორიტეტულად სკვერების კეთილმოწყობა სახელდება, რომლის განმარტებაც ადგილობრივთაგან, სამწუხაროდ, უმეტესობამ არ იცის.

რატომ შეარჩიეს აღნიშნული პრიორიტეტები და რა შენიშვნები აქვთ ივანდიდელებს, შევეცადეთ ადგილობრივებისგან გაგვერკვია. თუმცა იმის გამო, რომ რწმუნებულის საზიანოდ არაფერი წამოსცდეთ, სოფლის თავს თვალებში შესცქერიან და მორიდებით აღნიშნავენ, რომ სოფლის დახმარების პროგრამის შესახებ ინფორმირებულნი არიან, თუმცა ქვეკითხვების დასმისას იბნევიან და რწმუნებულის მიერ დასახელებულ ციფრებს ცოტათი სცდებიან. ამავდროულად არიან ისეთებიც, რომლებიც არსებულ პრობლემებზე გულრწფელად საუბრობენ.

კითხვა მარტივია: იცით თუ არა, სოფლის დახმარების პროგრამის შესახებ?

თინათინ ტაბიძე, სოფლის ამბულატორიის ექიმი: „როგორ არა, მაქვს ინფორმაცია სოფლის დახმარების პროგრამის შესახებ. მოწვეულნი იყვნენ სოფლის წარმომადგენლები, ეკითხებოდნენ, რა სურდათ, გაკეთებულიყო. შეირჩა ეს პრიორიტეტები. რა თქმა უნდა, გვჭირდებოდა ლამაზი სკვერი, შვილებს და შვილიშვილებს გავიყვანთ, მეზობლები შევიკრიბებით, ურთიერთობა გვექნება ერთმანეთთან. მეც ვესწრებოდი ამ კრებას, დაახლოებით, 50-ზე მეტი ადამიანი იყო შეკრებილი (რწმუნებულის განცხადებით, კი კრებას 300 ივანდიდელი ესწრებოდა). გვინდა გზების გაკეთება და მომავალში გაკეთდება, გვქონდა გზები, მაგრამ წელს მოსულმა თოვლმა და ყინვამ დაიზიანა.“

ზაურ ბენდელიანი, ადგილობრივი: „რა არის ეს სოფლის დახმარების პროგრამა?.. კი იყო რაღაც კრება, მე არ ვესწრებოდი, განათება გაკეთდა, სკვერს აკეთებენ. რატომაც არა, მომწონს, თუ რამე გაკეთდება, კარგია.“

ელისო თაკვარელი: „არ ვესწრებოდი, გაგონილი კი მაქვს. პრიორიტეტები დაეთმო ახალგაზრდობას, სკვერი და მოედანი კარგია ახალგაზრდობის დარჩენის მიზნით, მომავალში კიდევ სხვა რამე გაკეთდება, რაც კარგია სოფლისთვის“.

მალხაზ თუთისანი, ადგილობრივი: „არ ვიცი, რა არის ეგ პროგრამა, არც კრებას ვესწრებოდი და არც არავის გავუფრთხილებივარ. გზის გარდა, არც ის ვიცი, რა გაკეთდა. ეს განათება რამდენიმე წლის წინ დამონტაჟდა. კარგია თუ სოფელში რაიმე გაკეთდება და მოსახლეობაც იქნება ამაში ჩართული“.

თეიმურაზი, 74 წლის, ადგილობრივი: „რა არის ეგ პროგრამა? კი იძახიან რაღაცებს, ბაბუა, მაგრამ ჩვენი საშველი მაინც არაა. არაფერი არ ვიცით, ფულია მგონი ჩვენთვის გამოყოფილი. სტადიონი გავაკეთეთო. სტადიონი ოდითგანვე გამგეობის წინ იყო, 74 წლის კაცი ვარ და იქ ვთამაშობდით და ვიკრიბებოდით ყოველთვის. რა უნდოდათ, იქ რომ გააკეთეს, თანაც ხეებთან ერთად, მაგრამ ხალხს არაფერს ეკითხებიან. სკვერი გაკეთდაო რაცხა. რათ მინდა სკვერი? მე რომ დავიღლები თოხნის დროს, ჩრდილს მოვძებნი და ვწვები, რათ გვინდა სკვერი, ამისთანა ეზოები გვაქვს. ახალგაზრდობისთვისო! რაც ეს ტელევიზორი და ნოუთბუქები გამოიგონეს, ახალგაზრდა გარეთ აღარ გამოდის. გარეგანათება გააკეთეს, მაგრამ ჯერ არ ჩაურთავთ, ეტყობა კალაძის ჩამოსვლას ელოდებიან, რომ ჩართონ.“

„P.S. ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი ©

სკვერი სოფელ გუბაში

„P.S. ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი ©

ახალი წყლის სისტემა გუბის თემში

გუბის თემი

ივანდიდის მსგავსად, სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პრიორიტეტებიდან, სკვერის შემოღობვა-მოწყობაა აქტუალური ხონის რაიონის გუბის თემშიც. რწმუნებულის, **აკაკი ახალაძის** განცხადებით, გუბის თემში შემავალი სამი სოფლისთვის (დიდი გუბი, პატარა გუბი და შუა გუბი) გამოყოფილი 35836 ლარი გარეგანათებისთვის, სკვერის და წყლის სისტემის გაკეთებისთვის დაიხარჯა.

აკაკი ახალაძე, გუბის თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული: „დიდ გუბზე გამოყოფილი 18 271 ლარიდან 4 000 ლარით წყლის სისტემა მოეწყო, რომლითაც 15 ოჯახს მიეწოდება წყალი, ასევე 4 000 ლარით სკვერი შემოიღობა, დარჩენილი თანხით კი გარეგანათება გაკეთდა. პატარა და შუა გუბში გამოყოფილი 8197 და 9368 ლარიდან მთლიანად ცენტრალურ გზებზე გარეგანათება გავაკეთეთ, დაგვრჩა მხოლოდ ჩიხები. პროექტები უკვე დასრულებულია, მხოლოდ მრიცხველის ჩართავს ველოდებით და, დაახლოებით, მომავალ კვირაში ჩაირთვება.

პრიორიტეტების შესარჩევად აპრილში კრება ჩატარდა, რომლის შესახებაც მოსახლეობა თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრული განცხადებით გავაფრთხილეთ. სამივე სოფელში, დაახლოებით, 30-30 კაცი ესწრებოდა. სამწუხაროდ, მოსახლეობა საკუთარი სოფლის პრობლემებით ნაკლებად არის დაინტერესებული, შემდეგ კი უკმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ მათ უბანში არაფერი გაკეთდა. განათება ტენდერში გამარჯვებულმა ინდმეწარმემ, კოპალიანმა გააკეთა, წყლის სისტემა კი, ასევე ტენდერში გამარჯვებულმა ხონელმა, ვლადიმერ ბალანჩივაძემ მოაწყო. პატარა გუბის მოსახლეობას სურდა, რომ სკოლა გადაგვეხურა, მაგრამ ვინაიდან ეს არ არის სოფლის ბალანსზე, მისი გაკეთება ვერ მოხერხდა.“

სოფლის დახმარების პროექტის შესახებ გუბის თემის მოსახლეობა ნაკლებად არის ინფორმირებული. უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ამ პროექტის შესახებ არაფერი იცის, ნაწილის განცხადებით, აღნიშნული პროექტის შესახებ სმენიათ, მაგრამ მიზეზთა გამო, კრებას არ ესწრებოდნენ.

ზვიადი, ადგილობრივი: „არ გამიგია, იმ დროს არ ვიყავი ოჯახში. რა გაკეთდა? რავი, მგონი გარეგანათება კეთდება. კარგია, თუ რამე გაკეთდება, მაგრამ მოსახლეობის ინფორმირებაც უნდა მოხდეს“.

მიშიკო გეგუჩაძე, ადგილობრივი: „კი გამიგია, ვესწრებოდი კრებას, მაგრამ ბოლომდე არ დავრჩენილვარ, პრიორიტეტულად ინფრასტრუქტურის მოწყობა შეირჩა. ვიცი, რომ სკვერისთვის „ზაბორი“ გაკეთდა. ბევრი რამე საჭიროებს მოწყობას. მე რას ვთვლი პრიორიტეტულად? ჩამოვყალიბდები და შემდეგ წელს კრებაზე ვიტყვი.“

მიშიკოს საჭირო სამუშაოების დასახელებაში რწმუნებული წამოეშველა.

„ახლა დაიბნა ეს, თუ არა სარწყავი არხის სადრენაჟე სისტემაა მნიშვნელოვანი ამათთვის, წვიმის იმედად ხომ ვერ იქნებიან, რომ ყანები მორწყან? ამიტომ, მომავალ წელს სარწყავი სისტემის მოწესრიგებას მოითხოვენ და ჩვენც შევასრულებთ,“ — აღნიშნა **აკაკი ახალაძემ.**

როგორც სოფლების ტერიტორიულ ორგანოებში გავარკვიეთ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო გამოყოფილი თანხით შესრულებული სამუშაოების მონიტორინგს არ ატარებს. რის გამოც შესრულებული სამუშაოების ხარისხი მხოლოდ მავანთა კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ასევე – მოსახლეობის ინფორმაციიდან გამომდინარე, პრიორიტეტების შერჩევის წესი არასწორია, რადგან უბნებზე გაყოფილი თანხით სოფლისთვის მნიშვნელოვანი სამუშაოები არ ტარდება. ადგილობრივების რეკომენდაციით, უმჯობესი იქნება, თუკი საერთო თანხით ერთი მნიშვნელოვანი სამუშაო ჩატარდება და არა მცირე ზომის სკვერები მოეწყობა, ისიც, მხოლოდ იმიტომ, რომ მეზობლებს თავშეყრის ადგილი ჰქონდეთ.

„P.S. ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი ©

მინი სტადიონი ივანდიდში

„P.S. ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი ©

სკვერი ივანდიდში

ნესტან ჩაგელიშვილი

სტატია მომზადებულია „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ პროექტის ფარგლებში

გაითვალისწინებს თუ არა ხელისუფლება შენიშვნებს, ჯერჯერობით, უცნობია

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის ინიციატივით, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის პროექტის განხილვა შედგა. მოწვეულთა შორის იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ხელისუფლების და პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლები.

შეხვედრის დაწყებისთანავე, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის იურისტს **დავით ზარდიაშვილსა** და სამინისტროს წარმომადგენლებს შორის კამათი გაიმართა.

ზარდიაშვილმა კოდექსის პროექტში გუბერნატორებისთვის გარკვეული უფლებების მინიჭება გააპროტესტა და აღნიშნა, რომ ამ ინსტიტუტის თვითმმართველობის კოდექსში შემოტანით არა დეცენტრალიზაცია, არამედ ცენტრალიზაცია მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა **დავით ნარმანიამ** პასუხად განაცხადა, რომ ის ამ ადამიანებს ექსპერტებს ვერ უწოდებს, რადგან ისინი „მთელი 9 წლის განმავლობაში „ნაციონალურ მოძრაობას" იყვნენ ამოფარებული და თუკი სადმე რაიმე ცუდი და სიბინძურე გაკეთებულა ამ ადამიანების დამსახურებაა".

— რანაირად გინდა გაითვალისწინო მათი შენიშვნები და მოსაზრებები?! თუმცა, მიუხედავად ამისა, თუკი რაიმე რაციონალურს ვნახავთ, გავითვალისწინებთ, — განაცხადა ნარმანიამ, რომელსაც სხვა არგუმენტები არ გაუცვნია დამსწრეთათვის.

შეხვედრა 6 საათს გაგრძელდა და ყველა გამომსვლელს აზრის დაფიქსირების საშუალება მიეცა; თუმცა, დღის ბოლოს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები საკუთარ შენიშვნებს და რეკომენდაციებს უკვე ერთმანეთს აცნობდნენ, რადგან სამინისტროს და ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეხვედრა დატოვეს.

ძირითადი შენიშვნები, რაც შეხვედრისას გაჟღერდა, კოდექსის პროექტში გუბერნატორების ინსტიტუტის დატოვება და მისთვის ფუნქციების მინიჭება, რეგიონული მოწყობა, ვენეციის კომისიაში კანონპროექტის გადაგზავნა-არგადაგზავნის საკითხი, მუნიციპალიტეტების გაზრდის ფონზე საბიუჯეტო ხარჯების ზრდა და კოდექსში თვითმმართველობების სამუშაო ენად ქართული ენის შეტანა იყო.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა საკუთარი არგუმენტებით სცადეს სამინისტროსა და მთავრობის წევრების დარწმუნება, რომ ყველა ეს საკითხი სამომავლოდ პრობლემებს შექმნის და უმჯობესია, პარლამენტში საკომიტეტო განხილვებზე ჩასწორდეს, თუმცა, გაითვალისწინებს თუ არა ხელისუფლება შენიშვნებს, ჯერჯერობით, უცნობია.

შეხვედრისას დაისვა საკითხი, რომ საერთოდ შეჩერდეს პარლამენტში კოდექსის პროექტის პირველი განხილვა მანამ, სანამ ვენეციის კომისია დასკვნას არ დადებს, რაზეც მთავრობის კანცელარიის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის მაშინდელი უფროსის **ირაკლი მელაშვილის** პასუხი იყო: „ევროპის საბჭოს თვითმმართველობის კონგრესს ეს კანონპროექტი გადავუგზავნეთ და ვმუშაობთ, რომ დაჩქარებული წესით მივიღოთ შენიშვნები, რაც, დაახლოებით, დეკემბრის შუა რიცხვებისთვის უნდა მოხდეს. რაც შეეხება შენიშვნებს და რეკომენდაციებს, ჩვენ თვითონ ვეცდებით, რომ პარლამენტში ეს კოდექსი კიდევ უფრო გაუმჯობესდეს".

თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ნაწილის განცხადებით, არა მარტო ევროპის საბჭოს კონგრესის, არამედ ვენეციის კომისიის დასკვნაც აუცილებელია, ამ დასკვნის მიღება კი დაჩქარებული წესით ვერ მოხერხდება. მათი განმარტებით, დასკვნას თებერვლის შუა რიცხვებამდე მაინც დააგვიანდება.

შეხვედრას საპარლამენტო უმცირესობის წევრებიც ესწრებოდნენ, თუმცა, მათი შენიშვნები და რეკომენდაციები ისეთი მწვავე არ ყოფილა, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებისა. უმცირესობის წევრის **გიგი წერეთლის** განცხადებით, კოდექსი ძვირადღირებულია; ამასთან, პრობლემატურია მუნიციპალიტეტების დაყოფის და ხარჯების ზრდის საკითხები.

„ძალიან მნიშვნელოვანია მთავრობა რას ფიქრობს. ეს პროექტი საკმაოდ ძვირადღირებულია. ძალიან ბევრი თემაა, რომელიც კითხვის ნიშნებს აჩენს, როგორც ლოჯისტიკურ, ასევე ფინანსურ მდგრადობაზე. ამასთან, დროში რამდენად არის გათვლილი რეფორმის განხორციელება და, საერთოდ, მისი დაწყება, ჯერ კიდევ საკითხავია. რადგან, როგორც იცით, რეფორმის ნაწილი 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე უნდა განხორციელდეს, დარჩენილი ნაწილი კი რამდენიმე წელზე გადანაწილდეს. რეფორმა ვერ დაიწყება, თუ კანონი არ დამტკიცდა, დამტკიცებამდე კი საკმაოდ დიდი განხილვა და გაანალიზებაა საჭირო, რადგან ამ რეფორმით, შესაძლოა, ფედერალური მოწყობის საფრთხეები გაიზარდოს", — განაცხადა წერეთელმა.

რაც შეეხება გუბერნატორების ინსტიტუტის კოდექსში შემოტანას, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ერთხმად თანხმდებიან, რომ ამ ინსტიტუტის კოდექსში დატოვებით, რეგიონს აღმასრულებელი ხელისუფალი ეყოლება, რაც თვითმმართველობის გაუმჯობესების ნაცვლად, მის დაკნინებას გამოიწვევს.

„ადგილობრივ თვითმმართველობას იმის ნაცვლად, რომ უფლებამოსილებები დამატებოდა, ახალი კოდექსით ფუნქციების ნაწილი ეკარგება. დეცენტრალიზაცია კი ფუნქციების დამატებას ნიშნავს. რაც შეეხება გუბერნატორს, მას აღსრულებითი ფუნქცია ენიჭება, თუმცა, ზედამხედველობის ფუნქცია აღარ აქვს; ანუ ის რეგიონის აღმასრულებელი ხელისუფალი იქნება რეგიონის საბჭოში, მაგრამ მას საბჭო არ დანიშნავს", — აღნიშნა შეხვედრისას „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის" აღმასრულებელმა დირექტორმა, ევროპის საბჭოს ადგილობრივი თვითმმართველობის ქარტიის დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის წევრმა **დავით მელუამ.**

მისივე თქმით, „ინსტიტუციურად ყველაზე დიდი ფუნქციები საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს მთავრობას, გუბერნატორს და ბოლოს — ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს".

რაც შეეხება კოდექსის პროექტიდან ადგილობრივი თვითმმართველობების სამუშაო ენის ამოღებას, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ნაწილი აცხადებს, რომ ძველ კანონში ეს ჩაწერილი იყო, ახალში კი არ არის, რაც მათი აზრით, პოლიტიკურ გადაწყვეტილებას უკავშირდება, რაც პრობლემებს შექმნის.

შეგახსენებთ, რომ კანონპროექტი უკვე პარლამენტშია წარდგენილი და, სავარაუდოდ, საშემოდგომო სესიაზე უნდა დამტკიცდეს.

სამი ყველაზე დიდი საფრთხე, რომელიც თვითმმართველობის სახელისუფლებო რეფორმას მოჰყვება

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის იურისტი დავით ზარდიაშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის სამ ყველაზე დიდ საფრთხეს ასახელებს და განმარტავს, რომ ამ რეფორმას არა დეცენტრალიზაცია, როგორც ამას ხელისუფლება ამბობს, არამედ ცენტრალური ხელისუფლების გავლენების გაძლიერება მოჰყვება. ამასთან, სახეზე გვექნება დაშლილ-დანაწევრებული, უმოქმედო ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელსაც რეალურ მმართველად მთავრობის მიერ დანიშნული გუბერნატორი ეყოლება.

დავით ზარდიაშვილის განცხადებით, პირველი პრობლემა მუნიციპალიტეტების ხელოვნური დაყოფაა:

„დაგეგმილია სოფლების გაერთიანება რაიმე სქემის გარეშე, ძალიან სწრაფ ტემპში. თუმცა, რეალურად, როდესაც ეს სოფლები გაერთიანდებიან, მათ ქმედითი თვითმმართველობა არ ეყოლებათ. ავიღოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ ადგილობრივი საკრებულო უნდა აირჩიონ, მაგრამ იმ საკრებულოსთვის დღეს შენობაც კი არ არის. როგორ მოესწრება ეს ექვს თვეში, თუ დღესვე არ დაიწყო ამის მშენებლობა?!

გურიის მაგალითზე ეს პრობლემა ოზურგეთს ექმნება, რადგან ის რამდენიმე მუნიციპალიტეტად დაიყოფა.

მოხდება სოფლების სრულიად ხელოვნური გაერთიანება და თემებად ჩამოყალიბება. მაგალითად ისევ ოზურგეთის სოფლები — სოფელ ძიმითის და ნასაკირალის გაერთიანებული თემი ავიღოთ. ძიმითელს თავისი ადგილობრივი თვითმმართველობა ნასაკირალში ექნება, თუმცა ამ ორ სოფელს შორის პირდაპირი გზა არ არის; ამიტომ, ძიმითელს ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემის გადასაჭრელად ოზურგეთის გავლით ნასაკირალში ჩასვლა მოუწევს. ანუ ის იდეა, რომ მოსახლეობა თვითმმართველობას დაუახლოვდება, ამ გადაწყვეტილებიდან სულაც არ გამომდინარეობს, პირიქით. აქ იქმნება იდენტობის პრობლემაც, ძიმითელს უნდა ნასაკირალთან ერთად ერთ ერთეულში ყოფნა? ამას არავინ კითხულობს. როცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტი იყო, მაშინ ეს პრობლემა არ არსებობდა, მაგრამ როცა ამის ხელოვნურად გაერთიანება მოხდება, ეს პრობლემაც დადგება", — აცხადებს **ზარდიაშვილი**.

მისივე თქმით, მეორე პრობლემა უკვე რეგიონების შექმნაა: „კონსტიტუციონალისტები განმარტავენ, რომ რეფორმით ყველა ის ნიშანი იქმნება, რაც რეგიონისთვისაა დამახასიათებელი — ის არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, აქვს თავისი ტერიტორია და თვითმმართველობის ორგანოები, აქვს თავისი უფლებამოსილებები და ჰყავს მოსახლეობა. პავლეს თუ სავლეს დაარქმევენ, და მას პავლეს ფუნქციებს მიანიჭებენ, ის მაინც პავლე არ იქნება?! რეალურად იქნება რეგიონული ხელისუფლება, თავისი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოებით. განსაკუთრებით საშიშია, რომ პროექტის მიხედვით, რეგიონულ ხელისუფლებას ინსტიტუციურად „ორმაგი" და წინააღმდეგობრივი ბუნება აქვს: ერთის მხრივ, რეგიონის წარმომადგენლობითი ორგანოა რეგიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულების საკრებულოსგან დაკომპლექტებული რეგიონული საბჭო; მეორე მხრივ, რეგიონის, როგორც იურიდიული პირის მეთაური და იმავდროულად აღმასრულებელი ორგანო — სახელმწიფო რწმუნებული ანუ გუბერნატორი, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების მიერაა დანიშნული. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ის არა საბჭოს, არამედ მთავრობის წინაშეა ანგარიშვალდებული. ამით მთლიანად უგულებელყოფილია, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის კონცეფცია, ასევე საქართველოს კონსტიტუცია, სადაც აღნიშნულია, რომ აღმასრულებელი ორგანოები ანგარიშვალდებული უნდა იყვნენ წარმომადგენლობითი ორგანოების წინაშე.

კატეგორიულად მიუღებელია, რომ მთავრობას შეუზღუდავი უფლება ენიჭება ნებისმიერად შექმნას ე.წ. მუნიციპალიტეტების რეგიონული გაერთიანება, თავისი სურვილისამებრ შეიყვანოს მათში თვითმმართველი ერთეულები და ხელმძღვანელად ამ გაერთიანებას სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორი დაუნიშნოს. ამ შემთხვევაში, გამოდის არა დეცენტრალიზაცია, არამედ ცენტრალიზაცია", — აღნიშნავს ზარდიაშვილი.

გარდა ამისა, მისივე თქმით, არის კიდევ ერთი საფრთხე, რომელიც მთავრობის ფუნქციების გაძლიერებას გულისხმობს: „რეგიონის დონე ქმნის იმის საფუძველს, რომ თვითმმართველობების ავტონომიები შეიზღუდება; ეს აქამდეც იყო, მაგრამ კანონით არ იყო გაწერილი, ახლა კი ეს დაკანონდება. ამასთან, ყველაზე დიდი საფრთხე ის არის, რომ მთავრობის ფუნქციები ძლიერდება, პირველ რიგში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ფუნქციები, რომელსაც კანონის მიღებიდან უკვე თავისუფლად შეგვიძლია თვითმმართველობის სამინისტრო ვუწოდოთ. ამ სამინისტროს ხელში ერთდროულად თავს იყრის სისტემის მონიტორინგის ექსკლუზიური ფუნქცია, სამართლებრივი ზედამხედველობა და კომუნიკაციების მართვის ფუნქცია. ეს, რეალურად, ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკური ხელმძღვანელობაა და აი, რა ყალიბდება: ცენტრალურ დონეზე არის პრემიერ-მინისტრის რეგიონული პოლიტიკის ოფისი, მისი უფლებები ძლიერდება, რადგან ამ კოდექსს თანმდევი პროექტი მოჰყვება — მთავრობის შესახებ კანონში ცვლილებები; შემდეგ იქნება გუბერნატორები, სადღაც ქვემოთ კი, დაშლილ-დანაწევრებული თვითმმართველობა. ეს არის დღევანდელი სახელისუფლებო პროექტის მთელი არსი, თუმცა, ავტორები გვეუბნებიან, რომ ეს ევროპული ტიპის თვითმმართველობაა, რაც, ჩემი აზრით, ცინიზმია", — ამბობს **დავით ზარდიაშვილი.**

მოამზადა
თამთა კაკაურიძემ

კვირის ჰოროსკოპი

ვერძი: ეს კვირა ცუდია საყიდლებისათვის და ფინანსური ოპერაციებისათვის. სესხად გაცემული თანხა დიდი წვალების და დაგვიანების შემდეგ დაგიბრუნდებათ.

კურო: აქტიური და მრავალფეროვანი კვირა გელით. დიდია ალბათობა, რომ მოგიწევთ საკუთარი ინტერესების დაცვა, როგორც საქმით, ასევე სიტყვით. იმისათვის, რომ თქვენი მორიგი პროექტი გავიდეს, თქვენ უნდა დაარწმუნოთ არა მარტო ხელმძღვანელობა, არამედ კოლეგებიც.

ტყუპები: სულ ტყუილად ეძებთ იოლ გამოსავალს. გზავნილი შეიძლება იყოს დაფარული იქ სადაც თქვენ არ ელით, ყურადღებით იყავით, მიღებული ინფორმაცია მომავალში გამოგადგებათ.

კირჩხიბი: მთავარია, არ დაკარგოთ იმედი. სულ მალე ყველაზე ფანტასტიკური ოცნების განხორციელებასაც კი შეძლებთ, ნუ აჩქარდებით.

ლომი: სამსახურში და პირად ცხოვრებაში სასიამოვნო ინფორმაციები ხასიათს გამოგიკეთებთ. შეძლებთ სამსახურეობრივი კონფლიქტების დარეგულირებას, სასიამოვნო ატმოსფეროს შექმნას და ნაყოფიერ მუშაობას.

ქალწული: მზად იყავით საკუთარ თავთან საბრძოლველად. ნუ აჩქარდებით და მოუფიქრებელ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. არ ღირს საქმიანი დოკუმენტების ხელმოწერაც.

სასწორი: ისეთი საქმეებით დაკავდით, რომლებიც სარგებელს მოიტანენ არა მარტო ფინანსური, არამედ სოციალური თვალსაზრისითაც.

მორიელი: ნუ დაიტოვებთ საქმეს შემდეგი დღისთვის. არ ღირს სამსახურში დროის დაკარგვა უსაქმურობაზე. ეცადეთ, ყველა დაგეგმილი საქმე დროულად გააკეთოთ.

მშვილდოსანი: გუნდური მუშაობისთვის იყავით მზად. ეცადეთ, კოლეგებს არ მოახვიოთ თქვენი წესები და მოსაზრებები. შეინარჩუნეთ ოქროს შუალედი.

თხის რქა: ხანმოკლე მივლინებებს წარმატებით დაასრულებთ და შემოსავალსაც მიიღებთ. ერთი საქმის კარგად დასრულებისთანავე სასწრაფოდ შეუდექით მეორეს.

მერწყული: სამსახურში მოიკრიბეთ ძალები. ეცადეთ, არ იფიქროთ ოჯახურ პრობლემებზე. შეიძლება ემოციები გაგიმძაფრდეთ, თუმცა ნუ აჰყვებით მათ და ნუ მისცემთ საშუალებას თქვენით მანიპულირების.

თევზები: დიდია ალბათობა სასიკეთო ცვლილებებისა, რომლებიც ბევრ რამეზე, მათ შორის პირად და საქმიან სფეროზე დადებითად იმოქმედებს.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. მდინარე. 5. კროლი; 6. სვე. 8. მეი. 9. კასპი. 11. ომიკრონ.
შვეულად: 1. ბროლი. 2. რობ. 3. გომბეშო. 4. იფსილონ. 7. ამური. 10. სიო.

ერთი სკოლის ბევრი წარმატება

აიპი ქუთაისის №8 საჯარო სკოლას წარმატებული მოსწავლეები არასოდეს აკლდა. წელს სკოლა განსაკუთრებით ასახელეს მაგდა რობაქიძემ, მარიამ ნებიერიძემ, ნინო გაბელაშვილმა, ლია ჩხეტიანმა.

1-5 დეკემბერს მოსკოვში გამართულ მიხეილ ვორონინის სახელობის ტურნირზე სპორტულ ტანვარჯიშში მონაწილეობა მიიღო მე-8 კლასის მოსწავლემ **მაგდა რობაქიძემ** და გაიმარჯვა „სამ იარაღზე“ ასპარეზობაში. იგი არის საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების გუნდის წევრი, საქართველოს მრავალგზის პრიზიორი და ჩემპიონი. მისი მწვრთნელია გურამ ჯინჭარაძე (სპორტის დამსახურებული მწვრთნელი ტანვარჯიშში). ტანვარჯიშის ფედერაციისაგან მაგდა რობაქიძე, როგორც წარმატებული ტანმოვარჯიშე, ღებულობს სტიპენდიას 50 ლარის ოდენობით.

მე-10 კლასის მოსწავლემ **მარიამ ნებიერიძემ** მონაწილეობა მიიღო ბიზნეს ჯგუფ BG Generation-ის მიერ ჩატარებულ მათემატიკის ოლიმპიადაში. ქვეყნის მასშტაბით დაიკავა მე-3 ადგილი. დაჯილდოვდა მობილური ტელეფონით.

მე-10 კლასის მოსწავლემ **ნინო გაბელაშვილმა** მონაწილეობა მიიღო ისტორიის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში. ქვეყნის მასშტაბით დაიკავა მე-3 ადგილი და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაჯილდოვდა ფულადი პრემიით – 500 ლარით, ხოლო ქალაქის თვითმმართველობამ ნინოსა და მის ისტორიის მასწავლებელს დავით სულამანიძეს სიგელები და 250 – 250 ლარი გადასცა.

მე-10 კლასის მოსწავლემ **ლია ჩხეტიანმა** მონაწილეობა მიიღო ისტორიის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში. წარმატებისათვის დაჯილდოვდა სიგელით და წყნეთში არსებული Buckwood Summer School-ის საგზურით.

psnews.ge

მაგდა რობაქიძე

მარიამ ნებიერიძე

ნინო გაბელაშვილი

ლია ჩხეტიანი

მირონ ხერგიანი: „რუსეთს სურს, საზღვარი გადმოიტანოს სამხრეთით – სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში“

სვანეთის მოსახლეობა ხუდონჰესის აშენებას ვერ შეეგუება

პირველი გვერდიდან

თუ დღეს კიდევ მაინც იმეორებენ ამას, აქ რუსეთის ინტესები იკვეთება. რუსეთის ჯარი ხაიშიდან 7 კილომეტრში დგას, ისინი პირდაპირ დაინტერესებული არიან, ხელში ჩაიგდონ ეს კვანძი, შემდეგში ლენტეხის ხეობაში გადავლენ და იქედან — რაჭაში. ე.ი. ჩრდილოეთის საზღვარი, რუსეთს უნდა, რომ გადმოიტანოს სამხრეთში, სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში. გამომდინარე აქედან, ეს არ ნიშნავს ჰიდროელექტროსადგურის აშენებას, არამედ, ნიშნავს ტერიტორიის დაკარგვას. ამის მაგალითი ჯერ კიდევ 2008 წელს გვქონდა, როდესაც ხელისუფლებამ ზემო აფხაზეთი რუსეთს საჩუქრად გადასცა. რუსეთს უფლება აქვს, შევიდეს ენგურის ხეობაში, რამდენადაც იქ მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები აქვს. ასე რომ, იაფფასიანი ტყუილებით ჩვენ ვერ დაგვარწმუნებენ.

— ინვესტორები ვინ არიან?

— ინვესტორები ოფშერულ ზონაში იმყოფებიან. ახლა ამბობენ, რომ დამფინანსებელი არ ჰყავს, მაგრამ საბოლოოდ მეპატრონე რუსი ხდება.

— ენერგეტიკის მინისტრი იმასაც დარწუნებით აცხადებს, რომ ამ ჰესის ასაშენებლად ადგილობრივ მოსახლეობასაც დაითანხმებს...

— სამწუხაროა ფაქტია, რადგან ენერგეტიკის სამინისტრო და ხელისუფლება ცდილობს, მოსახლეობა გატეხონ და ინდივიდუალური დაპირებებით დაუპირისპირონ ერთმანეთს. ეს არის შანტაჟი და მიუღებელი წესებით ქმედება, მაშინ ქურდულ სამყაროს რატომ ვებრძვით, თუ ასეთი უვარგისი მეთოდებით მიუდგებიან ამ საქმეს.

— როგორ შეიძლება ჰესის აშენება ისე, რომ არ დაზარალდეს სოფელი?

— ყველანაირად ცდილობენ, რომ დისკრედიტაცია გაუკეთონ ყველა იმ ადამიანს, ვინც წინააღმდეგია ჰესის აშენების, ერთმანეთს უპირისპირებენ თვით სვანებს. ბრძოლის ასეთი ფორმა მიუღებელია, რადგან არაკაცობით სიკეთისთვის არავის მიუღწევია. ჩვენ ვთავაზობთ ხელისუფლებას მეორე ალტერნატივას, თუ კაშხალი აშენდება, მოსახლეობა არ უნდა გადასახლდეს და სარგებელი უნდა ნახოს ადგილობრივმა მოსახლეობამ.

ბარემ ისიც გვითხრან, წელიწადში რამდენი მილიარდი უნდა გადავუხადოთ რუსებს? თუკი ეს ხელისუფლება მაინც ააშენებს ამ ჰესს, მაშინ ესენიც წინა ხელისუფლებასავით შავ ლაქებად დარჩებიან ისტორიაში.

ეთერ გალაძე



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

გიორგი ბარამიძე სულიკო ფუტკარაძემ და შაქრო გაბელაშვილმა ამოიცნეს.

რას დაარქმევდით?

გიორგი უშიკიშვილი

დაგვიკავშირდით:

- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

სოსო ჯაჭვლიანი

უსამართლობასთან მკლავჭიდში გამარჯვებული.

შაქრო გაბელაშვილი

კროსვორდი

თარაზულად: 3. მეთხუთმეტე ბერძნული ასო. 5. ფინური ელექტრო-სატელეფონო ფირმა. 6. ჯარი, ლაშქარი ძველად. 8. მდინარე ჩილეში. 9. მიტო კახურად. 11. ბრიტანეთის ერთ-ერთი პროვინცია.

შვეულად: 1. ფრანკთა მეფე ... მოკლე. 2. დიდი ჩაქუჩი. 3. ლუდის სახეობა. 4. მზის სისტემის პლანეტა. 7. ვენესუელას პრეზიდენტი ... ჩავესი. 10. მოლუსკის სახეობა.



წიგნების მაღაზია ქიმერიონი
qimerioni.ge

ყოველგვარი ფასნამატის გარეშე შეიძინეთ:

- ქართული თუ უცხოური ლიტერატურა;
- კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები;
- მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული საბავშვო შემეცნებითი და გასართობი წიგნები;
- სამეცნიერო ხასიათის გამოცემები;
- ენციკლოპედიები;
- ლექსიკონები;
- ჟურნალ-გაზეთები

წიგნები შენ გელოდება!

ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული", წიგნების მაღაზია „ქიმერიონი".
ტელეფონი: 790 927 927; (431) 274 474

იმერი
TEXTILE COMPANY

სამკერვალო კომპანია

სამკერვალო კომპანია „იმერი" მრავალწლიანი წარმატებული საქმიანობითა და გამოცდილებით გამორჩეული ბრენდია როგორც ქართულ, ისე – უცხოურ ბაზარზე.

ქუთაისსა და თბილისში გაიხსნა **„იმერის"** საფირმო მაღაზიები, სადაც მომხმარებელს სთავაზობენ ქალისა და მამაკაცის პალტოებს, მანტოებსა და ქურთუკებს.
წარმოდგენილი პროდუქცია უმაღლესი ხარისხისაა და შექმნილია მსოფლიო ბრენდების ნიმუშებზე, ევროპული ტექნოლოგიით.
კომპანია „იმერი" ემზადება ზაფხულის კოლექციის შესაქმნელად, რომელიც საფირმო მაღაზიებში გაიყიდება!

„იმერის" საფირმო მაღაზიების მისამართი და საკონტაქტო მონაცემები:
ქუთაისი – ასათიანის ქ. №119;
ტელეფონი: 0431 22 07 08

თბილისი – მიცკევიჩის ქ. №6;
ტელეფონი: 551 555 163

მოდის სახლი „მარიონელა"

ექსკლუზიური სადედოფლო და საღამოს კაბები

თბილისი, მ. ჯავახიშვილის (ყოფილი ელბაქიძის დაღმართი) №12
ტელ.: +995 (432) 292-05-04

ქუთაისი, ა. პუშკინის ქუჩა №1
ტელ.: +995 (431) 25-31-21

ელ-ფოსტა:
marionela@mail.ru

www.marionela.ge

აია

ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების კომპანია

ლიმონათი „აია" – ნატურალურ ნაყენსა და შაქარზე დამზადებული 11 სახეობის ლიმონათი:
„მსხალი", „ლიმონი", „ტარხუნა", „ფორთოხალი", „ატამი", „დაფნა", „ალუბალი", „ნაღები", „საფერავი", „მარწყვი", „შოკოლადი".

„აიას" ლიმონათი მზადდება თავად ქარხანაში დამუშავებული ცოცხალი ხილის ნაყენისაგან.

ლუდი „აია" – უმაღლესი ხარისხის ალაოსა და უნიკალური წყაროს წყლისაგან დამზადებული ქუთაისური ლუდი.
ხარშვის პროცესს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ხელმძღვანელობენ. მზადდება უახლესი ტექნოლოგიით.

მიირთვით „აიას" პროდუქცია! იგი აბსოლუტურად უსაფრთხოა!

მისამართი:
ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №8
ტელეფონი:
(0 431) 22 01 94;
22 30 31; 22 40 05

ცხვირის ქირურგიული ცენტრი

თემურ ძიძიგური — ცხვირის და ყურის ქირურგი



კეთდება ოპერაციები:

1. გრძელ, კეხიან, ჩამოშვებულ, განიერნესტოიან, გაღუნულ ცხვირზე.
2. ცხვირის ძგიდეზე, ცხვირის ნიჟარებზე და პოლიპებზე.
3. დიდი ზომის და გადმოწეულ ყურის ნიჟარებზე.
4. მკურნალობენ ცხვირიდან სუნთქვის გაძნელებას.

მისამართი: ქუთაისი, სულხან-საბას ქ. №81 (ავანგარდის დასახლების ბოლოს)

ტელეფონი: (0 431) 22-31-02; **მობ.**: (599) 53-69-64; (599) 14-08-13; ბინის (0 431) 24-57-63.

სამშენებლო კომპანია ტობე

ბეტონისა და რკინა-ბეტონის ქარხანა **„ტობე" აწარმოებს:**

მაღალი სიმტკიცის, სერთიფიცირებულ მ-150; მ-200; მ-250; მ-300; მ-400 მარკის სასაქონლო ბეტონს; შემოღობვის ფილებს, საკედლე პანელებს, საძირკვლის, ზეძირკვლის, სარტყლის, საკედლე, წვრილსაკედლე, ტიხრის ბლოკებს.

ზღუდარებს, რიგელებს, კოლონებს, საკანალიზაციო ჭებს.
ყველა სახის, წინასწარ დაუძაბავ კონსტრუქციებს.
შეკვეთები სრულდება დროულად და ხარისხიანად, დამკვეთთან შეთანხმებით.

მისამართი: ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა №4

ტელეფონი:
(0 431) 23-60-60; 26-74-37

მობილური:
(5 77) 78-06-70; (5 71) 55-55-01

ქუთაისის ხის გადამამუშავებელი ქარხანა
კავკასუს როუდ პროჯექტ

სიახლე!
სააგარაკე მობილური სახლი (63 მ²):
მისაღები – 21,2 მ²
საძინებელი – 9,4 მ²
საძინებელი – 12 მ²
სამზარეულო – 4,65 მ²
სანკვანძი – 2,3 მ²
ღია აივანი – 8,96 მ²

ფასი: 1 მ² – 750 ლარი (ტრანსპორტირების ჩათვლით).

მისამართი: ქ. ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №21
ტელეფონი: (0 431) 23 43 34; 23 64 02; 599 22 88 27

ქართული თხილის გადამამუშავებელი საწარმო

„იმერნათი"

ექსპორტი ევროპის ქვეყნებში;

მოხალული თხილის გული შიდა ბაზრისთვის;

ადგილობრივი თხილის შესყიდვა მისაღებ ფასში.

იმერნათი
თხილის გადამამუშავებელი სანარმო

მისამართი:
ქუთაისი, ნიკეას ქ. №21

ტელეფონი: 555 10 56 62
E-მაილი: dat-chap77@mail.ru

„ოქროს ხელები"

ლითონის ჭედური ნაკეთობები

„ოქროს ხელები" აწარმოებს ყველა სახის რკინის ნაკეთობას:
ჭიმკრებს, კარებს, გისოსებს, დარაბებს, მოაჯირებს, ქოლგებს, ჟალუზებს, ტახტს, მაგიდას, სკამს, ბუხრის ინვენტარს.

დახვეწილი დიზაინი, მრავალფეროვნება, სიძველის ეფექტი.
პროდუქციის ხარისხს განაპირობებენ ორნამენტის მხატვრულ დამუშავებაში გამოცდილი სპეციალისტები.
ვემსახურებით ადგილზე მიტანით საქართველოს ნებისმიერ რეგიონში
მისამართი: ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №18
ტელეფონი:
593 113 318; 555 377 366
www.cheduri.weebly.com